პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ნაკ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — ორგანული საქართველოს, ჯორჯეთ, ბოლოსა, ოსეთისა-ალიეთისა და ადიგეველთა ფედერაციის საბჭოთა ცაკის ორგანო

რედაქცია — თბილისი, აპაშა (ყოფ. ფოთი მიალინა) ქ. № 88, ფონი № 5-81 საათები

მთავარი კანტორა — თბილისი, ალუბალების პრეს. 24, ტელეფონი № 8—81

დღიური
- დიდუბაზე პროფკავშირთა მეფეებიდან ულტიმატუმ.
- ინგლისმა ბაბაკლიერა საბჭოდრო ფლოტი ჩინეთის წყლებში.
- კომოლესთან ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში ეკონომიკურ ბოიკოტზე.
- 20 ინვალიდისთან მოოდენილიანელინის პროფკავშირთა ანკეტა კომეტის კოლეფანინა.
- მოსკოვში ბაინაბოთა საპარლიანტო მიტინგი ბუნინეთეთი მოოდ. ფონ კოლეფანიის წინააღმდეგ.
- ჩინეთში ბაბოლეთა ეროვნული ფედერაციის ფორმირება.
- „ფოლოოოსტარი“ ბაინისბეა 19 დეკემბერს.

ფასი 5 კაპ. № 291 (1746)

კვირა, 19 დეკემბერი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი

ინგლისის ორგანი პოლიტიკა ჩინეთში

განმათავისუფლებელი ბრძოლა ჩინეთში ჩაენერგა ეროვნული ერთიანობა. ერთი მხრივ ესტრანის ჯარები — სულ უფრო ფეოდალებენ სუნ-ჩან-ფაანს და ბანბოის ფეოდალებს, მეორე მხრივ სახალხო არმია ძლევამოსილი ეროვნული ფერხულის ნებანის მიმართულებით ფეოდალიზმის წინააღმდეგ. კანტონის მთავრობა ეროვნული ბანკი, რაც ნიშნავს მისი მდგომარეობა ბანკის გამაგებელია. განთავისუფლებული პროვინციები. ამავე ფონის ჩრდილოეთის მიერ ტარარსტანის მეთაური ჩან-ძოლენ-ბიელ ძალას ეზიდა ჩინეთის ეროვნული ბანკი. ეროვნული საზოგადოების ბანკი ბანონ ბანკის ბენანის საზოგადოებაა. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

მგელი ცხვრის ტყავში

ლემასონის პირველი ვიზიტი

ლემასონმა ინგლისის ახლად დანიშნულმა ელჩმა ჩინეთში, განუცხადა, რომ ის ჩინეთის ხალხის მეგობარია. ამავე ლემასონმა ინგლისის კონფერენციაზე დატყვევებული 27 გომინდანელი გადასცა ჩან-ძო-ლინს. დატყვევებულებს საკვდილით დასჯა მოელით.

დეპეშებიდან.

იაპონიის პროვოკაცია

პეკინი, 18 დეკემბ. იაპონური გაზეთი „შუნ ტიან-ში-ბაო" იუწყება, რომ პირველ იანვარს უ-ჩინში ყოფილი ცენტრალური ნაციონალური მთავრობა, რომლის დამტკიცებას შემდეგ მოწვეულ იქნება საგანგებო პარლამენტი (პარლამენტი, რომელიც 1917 წელში გარეკეს მილიტარისტებმა და რომელიც შემდეგ სუნ-იატ-სენის შეკრიბა კანტონში 1919 წელში). ეს პარლამენტი, გაზეთის სიტყვით, აირჩევს პრეზიდენტს ან უმაღლეს მმართველს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ გეგმას განიხილავენ როგორც ერთი იმ საშუალებათაგანს, რომელსაც შეუძლია გაადვილოს ძლიერი ცენტრალური მთავრობის შექმნა და ეროვნული მთავრობის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება.

შემდეგ გაზეთები იუწყებიან, რომ „საგანგებო პარლამენტის" წევრებმა, რომელნიც ამჟამად ჩრდილოეთ ჩინეთში არიან, ვითომც უკვე მიიღეს მიწვევა ნანკინში და პეკინში ამჟამად სწარმოებს პარლამენტის ამ წევრთა თათბირი, რომელზედაც იხილავენ საკითხს მოწვევის მიღების შესახებ.

გომინდანელთა წრეები პეკინში აცხადებენ, რომ იაპონური გაზეთების ყველა ცნობები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. გომინდანელთა წრეები შეუძლებლად სცნობენ, რომ ეროვნულმა მთავრობამ ეხლა კვლავ მოიწვიოს ძველი პარლამენტი, რომელმაც დაამტკიცა თავისი უნაყოფობა. ამ წრეებში გაზეთების ყველა ცნობებს განიხილავენ როგორც ზოგიერთი უცხოეთის, განსაკუთრებით იაპონური წრეების კამპანიას იმ მიზნით, რომ დაუკავშირდენ გომინდანის ზოგიერთ მემარჯვენე ელემენტებს და აამხედრონ ისინი მემარცხენეთა წინააღმდეგ. (ადს).

შეიდემანის დემაგოგია

ბერლინი, 17 დეკემბერი. რეიხსტაგში სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტ კენენმა, რომელიც ბრალს სდებდა სოც. დემოკრატებს იმაში, რომ მათ ინგლისის ლიბერალურ გაზეთს „მანჩესტერ გარდიენს" მიაწოდეს ყალბი ცნობები, თითქოს, საბჭოთა მთავრობასა და რეიხსვერს შორის არსებობდეს რაიმე კავშირი.

„შეიდემანის ყველა დღევანდელი განცხადებები ამ თემაზე არის საზიზღარი დემაგოგია — განაცხადა კენენმა. „ფორვერტსში" გამოქვეყნებული ყუმბარების ისტორია მტკნარი სიცრუეა.

თუ სოც. დემოკრატები არ წარმოადგენენ ნამდვილ საბუთებს თავისი განცხადებების სასარგებლოთ, საზოგადოებრივ აზრს უფლება ექნება განაცხადოს, რომ ისინი არიან ნამდვილი თაღლითები".

შემდეგ გამოვიდნენ ნაციონალისტების, სახალხო პარტიის, ცენტრის და სხვა პარტიების წარმომადგენლნი, რომელთაც სასტიკათ გააკრიტიკეს შეიდემანის გამოსვლა. (ადს).

დამსახურებული რენეგატი

(„ლუმანიტეს" შარჟი)

მისი ბრწყინვალება ემილ ვან-დერველდე

(ბელგიის მეფის მინისტრი და მეორე ინტერნაციონალის ბელადი)

რომელიც ამას წინად ბრიანთან ერთად მეგობრულ საუბარში შეუთანხმდა საფრანგეთის იმპერიალიზმის წარმომადგენელს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ჩინეთის წინააღმდეგ და იმპერიალისტური ყაჩაღობის უზრუნველსაყოფად აღმოსავლეთში.

საბჭოთა დაკვეთები გერმანიაში

ბერლინი, 18 დეკემბერი. ვოლფი იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობამ 1927 წლის 31 მარტამდე გააგრძელა გერმანიაში საბჭოთა კავშირის იმ დაკვეთების განაწილების ვადა, რომელთა საკრედიტო გარანტიას გერმანიის მთავრობა იძლევა. განაწილების ვადა თავდებოდა ამა წლის დეკემბრის ბოლოს. ამავე დროს გაგრძელებულია გერმანიის მთავრობის გარანტიების ვადა იმ დაკვეთებზე, რომელნიც განაწილებული იქნება წლის შემდგომ მეოთხედში. ორი წლის გარანტია გაგრძელებულია 1929 წლის მარტის ბოლომდე, 4 წლის გარანტია—1931 წლის მარტის ბოლომდე. შეიძლება ითქვას, რომ ამ გარიგებათათვის ფინანსების მიწოდება უზრუნველყოფილია სრული რაოდენობით. (ადს).

ფაშისტების წინააღმდეგ

მოსკოვი, 18 დეკემბერი. შესდგა საპროტესტო მიტინგი ბესარაბიაში მომხდარ პოგრომების წინააღმდეგ. სიტყვები წარმოთქვეს ამხ. ლარინმა, კოლაროვმა, შმერალმა, დომბალმა და სხვ. რუმინეთის კომპარტიის სახელით ილაპარაკა ბალკაზარმა.

მთელ რიგ სიტყვების შემდეგ, რომლებშიაც ხაზგასმით აღნიშნული იყო რუმინეთის ფაშისტების მიერ მოხდენილ პოგრომების კლასობრივი მნიშვნელობა, მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია ფაშისტური პოგრომების მომწყობ რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

დემოკრატების „ბრძოლა" რესპუბლიკანელებთან

შეერთებული შტატების სამხრეთ - ნაწილის ინდუსტრიალიზაცია თავბრუ-დამხვევი სისწრაფით მიდის წინ. ამავე დროს სამხრეთში გაძლიერდა „ბრძოლა" დემოკრატებსა და რესპუბლიკანელებს შორის „მწვავე" ხასიათი იღებს.

1862 წ. სამოქალაქო ომამდი შეერთებული შტატების სამხრეთ - ნაწილი უმთავრესად სასოფლო - მეურნეობის რაიონს წარმოადგენდა. ზანგების შრომის ექსპლოატაცია შესაძლებლად ხდიდა დიდი მამულების შექმნას. მიწათმფლობელი გავლენით სარგებლობდა სამხრეთში დემოკრატიული პარტია, პარტია მსხვილი მემამულეების, რომელიც „ჩრდილოელების" მიმართ მტრობას თესავდა. ამ მხარის სამრეწველო განვითარება დაიწყო მონების განთავისუფლების შემდეგ (1862 წ.). მაგრამ მრეწველობის სწრაფი განვითარება სამხრეთში დაიწყო მხოლოდ მსოფლიო ომის დღიდან. ასეთი თავბრუდამხვევი განვითარების მაგალითს წარმოადგენს შტატი ჩრდილოეთ - კაროლინა.

1914 წ. ამ შტატში ითვლებოდა 5.507 სამრეწველო დაწესებულება 137.000 მუშით. 1923 წ. წარმოების კონცენტრაციის გამო სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი 2.670-მდი შემცირდა, მაგრამ მუშების რიცხვი 174.000-მდი გაიზარდა. მრეწველობაში ჩაბმული მუშების შრომის ხელფასი 46 მილიონი დოლარიდან (1914 წ.) გაიზარდა 127 მილიონ დოლარამდე (1923 წ.). გადამუშავებული ნაწარმის ღირებულება ამავე დროის განმავლობაში 170 მილიონიდან 516 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. შტატის პროდუქციის ღირებულება ამავე 9 წლის განმავლობაში 289 მილიონ დოლარიდან 951 მილიონ დოლარამდი ავიდა. 1925 წ. ჩრდილოეთ - კაროლინას მრეწველობის პროდუქციის ღირებულება უდრიდა 1.345 მილიონ დოლარს.

მრეწველობის წილი შტატის საერთო შემოსავალში 50 პროცენტიდან (1910 წ.) გაიზარდა 75 პროცენტამდი (1925 წ.). ამავე დროს საერთო... გაიზარდა პროდუქცია ტიხის კოლმეურნეობის, რომელიც არის ბამბა. რომლის ღირებულება 1925 წ. შეადგენდა 400 მილიონ დოლარს, ნაცვლად 72 მილიონი დოლარისა. (1910 წ.).

ასეთივე ტემპით მიმდინარეობდა განვითარება სამხრეთის სხვა შტატებში. მაგ., თითქმის 1900-დან 1920 წლამდი ამ შტატის მოსახლეობა გაიზარდა 83 პროცენტით, რკინიგზის ხაზების სიგრძე — 58 პროცენტით სამრეწველო საქონლის პროდუქცია — 52,4 პროცენტით.

სამხრეთის შტატების განვითარების ეს არაჩვეულებრივად სწრაფი ტემპი აიხსნება, ნაწილობრივ, განსხვავებით შეერთებული შტატების ჩრდილოეთ და სამხრეთ - ნაწილში არსებულ ხელფასში.

შრომის ხელფასი ჩრდილოეთ შტატებში შეუჩერებლად იზრდება. ამ შტატების შრომის კანონმდებლობამ რამდენიმეთ გააუმჯობესა მუშების საარსებო და შრომის პირობები. ამავე დროს სამხრეთის შტატების მშრომელნი სრულიად შეუკავშირებელნი იყვნენ. სამხრეთის შტატებში სრულიად არ არსებობს კანონმდებლობა შრომის შესახებ. ასეთ პირობებში - ბუნებრივია, რომ ჩრდილოეთის შტატების კაპიტალმა დაიწყო დენა სამხრეთით. განსაკუთრებით მძლავრი იყო შემოდენა სამხრეთის შტატებში საფეიქრო მრეწველობის კაპიტალის.

ჩრდილოეთის კაპიტალის შემოჭრასთან სამხრეთში გაძლიერდა გავლენა რესპუბლიკანური პარტიის. თუ სამხრეთში კიდევ ძლიერი იყო გავლენა დემოკრატიული პარტიის, ეს აიხსნება ჩრდილოელებისადმი ტრადიციული სიძულვილით, რომელსაც საკმაოდ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები სამხრეთის შტატებში. სამრეწველო კაპიტალის გაძლიერებასთან ერთად, ეს ტრადიცია თანდათანობით ისპობოდა. უფრო მეტი, რა გასაოცარი არ უნდა იყოს ეს ერთი შეხედვით, მაგრამ მსხვილი მრეწველობის პარტიას — რესპუბლიკანურ პარტიას — მხარს უჭერდა არა მარტო ქალაქის ბურჟუაზია. არამედ მხარს უჭერდენ აგრეთვე სამხრეთის შტატების ზანგებიც, რომლებიც რესპუბლიკანელებს თვლიან მონობისგან განმათავისუფლებლად. რომელიც ოდესღაც მხარს უჭერდა დემოკრატიულ პარტიას.

უკანასკნელ ხანებში, როგორც ჩანს, ორივე პარტიამ ჰპოვა საერთო ენა. ასე მაგალითად, ზანგების საკითხში მათ შორის სრული თანხმობაა მიღწეული.

სრულიად აშკარაა, რომ ბრძოლა დემოკრატებსა და რესპუბლიკანელებს შორის სამხრეთში სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო მოსაზრებებით. საკითხებში, რომლებიც ეხება, როგორც დემოკრატ - მემამულეების ასე რესპუბლიკანელ — მრეწველების ჯიბეს ორივე პარტია გულის ამაჩუყებელ ერთსულოვნებას იჩენს. ეს ერთსულოვნება მით უფრო ძლიერია, როცა საქმე შეეხება მუშათა კლასის ექსპლოატაციის შეერთებულ ძალებით.

ა. ს.

აღმოსავლეთში

აფრიკის უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფო

ჯერ კიდევ 1906 წ. ინგლის-იტალია-საფრანგეთს შორის დადებულ იქნა შეთანხმება აბისინიაში ეკონომიური გავლენათა სფეროების გაყოფის შესახებ. რაც პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ქვეყნის ფაქტიურად დანაწილების გზაზე. მენელიკის მეფობის უკანასკნელ წლებში (1897-1908) ევროპიელთა კონცესიების და წარმოებათა რიცხვი ძლიერ გაიზარდა. გაყვანილ იქნა მთელი რიგი გზების, სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზი, დაიწყო ჯიბუტი—ადის-აბებას რკინიგზის გაგრძელება. მიუხედავათ მთავრობის წინააღმდეგობისა, ევროპის კაპიტალი უფრო და უფრო ძლიერად იჭრებოდა ქვეყანაში.

მენელიკის სიკვდილისა და სამეფო ტახტზე მისი შვილისშვილის ლიჯ იასუს ასვლის შემდეგ დაიწყო მღელვარება აბისინიაში. მთელი რიგი მთავრები (ევროპიელ იმპერიალისტების დახმარებით) ამხედრდენ ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ მაგრამ ახალგაზრდა ნეგუსმა მოახერხა ყველა აჯანყებების ჩაქრობა.

მსოფლიო ომის დროს, ანტანტის სახელმწიფოებმა, რომლებსაც აშინებდათ გერმანიის გავლენის გაძლიერება აბისინიაში, დაიწყეს ახალი ინტრიგა ამ ქვეყანაში. ნეგუსის წინააღმდეგ მხედრდა ეკლესია. საფრანგეთი შეუდგა ტახტის მემკვიდრის ძებნას. 1916 წ. სექტემბერში მთავრების ყრილობამ ადის-აბებში გადააყენა ლიჯ-იასუ და მენელიკის ქალიშვილი ზაუდიტუ დედოფლად გამოაცხადა, რეგენტად და ტახტის მემკვიდრედ არჩეულ იქნა რას-ტაფარი. ლიჯ-იასუ ერთხანს იბრძოდა, მაგრამ 1921 წ. შეიპყრეს და ამჟამადაც ტყვეთ იმყოფება.

ამ გადატრიალებამ სავსებით გაამართლა იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებდენ მოკავშირეები, განსაკუთრებით საფრანგეთი, რომელიც მ ქვეყნის სრულ დაპყრობაზე ოცნებობდა. მაგრამ ინგლისის ენერგიულმა ჩარევამ იხსნა აბისინია „მშვენიერი" საფრანგეთის გადაჭარბებული „მეგობრობისგან".

ევროპასთან დაახლოვების პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა რას-ტაფარი უძლური აღმოჩნდა აბისინიის დამოუკიდებლობის დასაცავად.

ჯერ კიდევ 1919 წ. მიმართა იტალიამ ინგლისს წინადადებით 1906 წ. შეთანხმების განხორციელების შესახებ. მაგრამ მაშინ ინგლისს ევროპაში ათასი თავსამტეხი საკითხები აწუხებდა და აფრიკის საქმეებისათვის არ ეცალა.

1925 წ. მდგომარეობა შეიცვალა. მდგომარეობის შერყევამ ეგვიპტეში აიძულა ინგლისი მეტი ყურადღება მიექცია სუდანისათვის. ცისფერი ნილოსის სათავეები და ცანის ტბა, რომლებიც აბისინიის ტერიტორიაზე მდებარეობენ და 1906 წ. ხელშეკრულების ძალით ინგლისის გავლენის სფეროში შედიან, უკანასკნელ როლს როდი თამაშობენ ინგლისის მთავრობის მიერ სუდანის განვითარების მიზნით შედგენილ პროგრამაში.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისი 1925 წ. მეტის ყურადღებით მოეპყრო იტალიის გეგმებს აბისინიის შესახებ. 1925 წ. დეკემბერში ინგლის-იტალიის შეთანხმება აბისინიის გაყოფის შესახებ გავლენათა სფეროებად დადებულ იქნა. ამ შეთანხმების შესახებ ინგლის-იტალიის მთავრობებმა აბისინიას აცნობეს მხოლოდ 1926 წ. 9 ივნისს.

ამ შეთანხმებამ ყველაზე მეტი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთში, რომელიც გარიყული აღმოჩნდა ინგლის-იტალიის მიერ. საფრანგეთი გამოვიდა „ფეხქვეშგათელილი უფლებების დამარცხებულის" დასაცავად. საფრანგეთი წარმომადგენელი აბისინიაში წინადადებას აძლევდა რას-ტაფარის წინააღმდეგობა გაეწია ინგლის-იტალიისათვის და თავისი მთავრობის სახელით დიპლომატიურ დახმარებას აღუთქვამდა. 1926 წ. 15 ივნისს რას-ტაფარიმ აცნობა ინგლის-იტალიას, რომ მათ შეთანხმებას თვლის ხელშემხებად აბისინიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და საკითხს დასვამს ერთა ლიგაში. 19 ივნისს ლიგის საბჭოში შეტანილ იქნა შესაფერი საჩივარი.

ინგლის-იტალიის პრესამ ასტეხა ერთი განგაში, რომ აბისინია არ ასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, რომ იქ დარჩენილია მონობა და სხვა.

ერთა ლიგის საბჭომ აბისინიის საჩივარის მიღების შემდეგ გაიძარტებისათვის მიმართა ინგლისსა და იტალიას, აბისინიას კი „გულუბრყვილოთ" შეეკითხა—სურს თუ არა მას, რომ საკითხი განხილული იქნეს ლიგის უახლოეს სესიაზე. რას-ტაფარიმ ითხოვა, რომ საკითხის განხილვა გადადებული ყოფილიყო. გამოწვეული იყო ეს აბისინიის შიგნით მდგომარეობის გართულებით. აბისინიაში არსებობს სამი მიმდინარეობა: ერთი, რომელსაც მეთაურობს ეკლესია და რომელსაც თანაუგრძნობს აბისინიის დედოფალი ზაუდიტუ. წინააღმდეგია ყოველგვარი რეფორმების, მოითხოვს ევროპიელების განდევნას. მაგრამ თანხმაა წავიდეს ზოგიერთ დათმობებზე ევროპის იმპერიალიზმის მიმართ, უკანასკნელი უზრუნველყოფს მის პრივილეგიებს.

მეორე მიმდინარეობა იცავს ევროპასთან მჭიდროდ დაახლოვებას, იხარს უჭერს ფართო ადმინისტრატიულ რეფორმებს, იგი მშვენიერათ გრძნობს, თუ რას მოასწავებს ინგლის-იტალიის შეთანხმება, მაგრამ შეუძლებლად თვლის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას.

მესამე მიმდინარეობა, რომელსაც მეთაურობს მენელიკის ყოფილი თანამებრძოლი, მოხუცი სამხედრო მინისტრი ჰაპტე-გეორგისი, მხარს უჭერს შეიარაღებულ გამოსვლას.

მდგომარეობას ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ცალკე კუთხეების მთავრები, იმპერიალისტების ინტრიგების წყალობით, მზად არიან გახუდგენ ცენტრალურ მთავრობას და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადონ.

სექტემბრის დამლევს ადის-აბებში გაიმართა მთავრების თათბირი, რომლის შემდეგ რას-ტაფარიმ ერთა ლიგას აცნობა, რომ აბისინია ჯერჯერობით ხსნის თავის პროტესტს.

ამ რიგად აბისინიის მთავრობის დიპლომატიური ბრძოლა ჯერ-ჯერობით მისი უკან დახევით დამთავრდა. საფრანგეთმა, რომელიც აქეზებდა აბისინიას წინააღმდეგობა გაეწია, სხვადასხვა კომპენსაციებისა და დაპირებების მიღების შემდეგ, ზურგი შეაქცია მას.

აფრიკის უკანასკნელი სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა საფრთხეში არის.

რ. მ.

პროფკავშირთა ყრილობის დახურვა

მოსკოვი, 18 დეკემბერი. გუშინ საღამოს დაიხურა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მე-7 ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხების შესახებ. ყრილობამ მიიღო მიმართვა იტალიის მუშებისადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბჭ. კავშირის მუშათა კლასი მხარს დაუჭერს იტალიის პროლეტარიატს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში ყრილობამ აირჩია 168 წევრი და 91 კანდიდატი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წევრებს შორის არიან: ამხ. ტომსკი, დოგადოვი, მელნიჩანსკი, ლოზოვსკი, შმიდტი, ანდრეევი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, ლეპსე, შვარცი, მიხაილოვი, უგაროვი (ლენინგრადი); რადჩენკო (უკრაინა), უდაროვი (შუა აზია) და სხვ. დადგენილ იქნა, რომ პროფკავშირთა მე-8 ყრილობა მოწვეულ იქნას 2 წლის შემდეგ, ამასთანავე საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს დაევალოს წარმომადგენლობის ნორმის დაწესება ამ ყრილობისათვის.

კუკმა წარმოსთქვა გამოსამშვიდობელი სიტყვა ყრილობაზე დამსწრე უცხოეთის პროფორგანიზაციების სახელით.

ამხ. ტომსკიმ გაუკეთა ჯამი ყრილობის მუშაობას და სთქვა: „ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მიღწევათა მთელი რიგი. პირველი და უდიდესი მიღწევა არის ის, რომ ევროპის ათი ქვეყნის წარმომადგენელთა სახელით ჩვენ მოგვესალმა კუკი. ეს მოწმობს იმას, რომ უნაყოფოდ ჩაიარა კაპიტალისტებისა და რეფორმისტების ცდამ, რომ ჩინური კედლების ზღუდე აღემართათ დასავლეთ - ევროპის მუშებსა და საბჭოთა პროლეტარიატს შორის. ჩვენი ყრილობის სხვა მიღწევებია: ყველა საკითხები განხილულ იქნა ყრილობაზე, რაც მოწმობს ჩვენი პროფაქტივის ზრდას". ამხ. ტომსკი გამოსთქვამს რწმენას, რომ პროფკავშირები სავსებით შეასრულებენ ლენინის მიერ მიცემულ დაპირებას მე - 5 ყრილობაზე — საკუთარი ძალით, უცხოეთის დაუხმარებლად მიაღწევენ წარმოების ომამდე არსებულ დონეს. პროფკავშირები პარტიასთან და საბჭოთა კავშირთან ერთად იმუშავებენ სოციალისტური მეურნეობის მოსაწყობად.

საღამოს 6 საათზე გაიხსნა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმი. პლენუმმა აირჩია საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმი 15 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ: ამხ. ტომსკი, დოგადოვი, მელნიჩანსკი, ლოზოვსკი, შმიდტი, მიხაილოვი, ვლადიმიროვი, ლეპსე, უგაროვი (ლენინგრადი), რადჩენკო (უკრაინა), ევრეინოვი, ტიხომიროვი, ბელენკი (ჩრდილო კავკასია) და შვარცი. კანდიდატებად არჩეულ იქნენ: ამხ. ფიგატნერი, იაგლომი, კოროსტელევი, ჩერნიშევი, ანტონოვიჩი და აკულოვი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ტომსკი, მდივნად ამხ. დოგადოვი. შრომის სახალხო კომისრად დამტკიცებულ იქნა ამხ. შმიდტი. ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მოხსენების მიხედვით ყრილობამ დაადგინა მოიწონოს ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის მოქმედება. ყრილობამ აღნიშნა, რომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო სწორ პოლიტიკას აწარმოებდა ამსტერდამისადმი, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო მასიური მთლიანობის შექმნისაკენ.

თქვენი წარმატება, ამბობს კუკი. გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ დასავლეთ ევროპაში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის მეთოდები და ვიბრძოლოთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესაქმნელად. (ადს)

„ვოლხოვსტროის" გახსნა

ლენინგრადი, 18 დეკემბერი. 19 დეკემბერს ვოლხოვის სადგურის საზეიმო გახსნაზე ლენინგრადიდან იგზავნება ორი მატარებელი სტუმრებით. სადგურის გახსნა მოხდება დღის 5 ს. და 20 წ. „ვოლხოვსტროი" გაცხოველებული ემზადება ზეიმისათვის. საბოლოოდ მოწყობილია სამანქანო დარბაზი, სადაც მუშაობს ელსადგურის ამშენებელთა სახელზე. (ადს). ...ში გიგანტური შვედური ტურბინა. სადგურის აშვების მომენტიდან ენერგია მიეწოდება ლენინგრადს განუწყვეტლივ დღეც და ღამეც, კარგა უქმე დღეებისა. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის მისასალმებელი დეპეშები ლენინგრადის ალმასკომისა და ვოლხოვის მშენებლობის სახელზე. (ადს).

ნავთის ამოღება

მოსკოვი, 18 დეკემბერი. ნავთის მრეწველობის საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. გუბკინმა მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ თვეებში ნავთის ამოღების გადიდების გამო შემდეგი განაცხადა:

„ოქტომბერში, განსაკუთრებით კი ნოემბერში, ნავთის ამოღების პროგრამა ორივე უმნიშვნელოვანეს სამრეწველო რაიონში შესრულებულ იქნა 100 პროცენტზე ზევით, თუ გროზნოში ეს გამოწვეულია შადრევანებით, ბაქოში სულ სხვა მდგომარეობაა: „აზნავტის" წარმოებებში ნავთის ამოღების გადიდება აიხსნება ახალი ჭების გაძლიერებულ ექსპლოატაციით. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ შემდეგში ნავთის ამოღება არ ასცილდა ნოემბრის ნორმას — 35 მილ. ფუთს, წლის ბოლოში ბაქოში ჩვენ მივიღებთ არა ნაკლებ 420 მილ. ფუთ ნავთს 381 მილ. ფუთის მაგიერ, რომელიც გათვალისწინებული იყო პროგრამით. ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს ჩვენ მივიღებთ 50—60 მილ. ფუთ ნავთს გეგმას ზევით, რასაკვირველია, მეტად სასიხარულოა. მაგრამ, სრული ეკონომიური ეფექტის მისაღებათ საჭიროა ეხლავე შევუდგეთ მთელ რიგ ზომების განხორციელებას. პირველ რიგში უნდა გავადიდოთ ნავთის გადამამუშავებელ ქარხნების პროდუქცია. რამდენათაც ბაქოს და გროზნოს ქარხნების გადაკეთებას არ შეუძლია მოთხოვნილების დაკმაყოფილება, იმდენათ, საჭიროა დაჩქარებულ იქნეს ნავთის გადამამუშავებელ ქარხნების აგება ბათომში და ტუაფსეში და აგრეთვე ერთ წერტილიდან ძაბრულ იქნეს მტკივნეული საკითხი ბაქო - ბათომის ნავთსადენის გადაკეთების შესახებ. უნდა დავაჩქაროთ აგრეთვე გროზნო - ტუაფსეს ნავთსადენის აგება. აშკარაა, რომ ჩვენ დაგვეგვიანდა ამ პროექტების განხორციელება, რომელთა მიზანშეწონილობა დიდი ხანია აღიარა ყველა ინსტანციებმა. (ადს).

სმირნოვის აღდგენა პარტიაში

მოსკოვი, 18 დეკემბ. 26 ნოემბერს ამხ. სმირნოვმა მიმართა განცხადებით საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. ამ განცხადებაში სმირნოვი აღიარებს პარტიაში ფრაქციული ბრძოლის წარმოების მავნებლობას, უარჰყოფს თავის შეხედულებათა დაცვის იმ მეთოდებს, რომლებიც ფრაქციულ ელემენტებს შეიცავენ და სთხოვს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას გადაათ ვალიეროს დადგენილება პარტიიდან მისი გამორიცხვის შესახებ. საკ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ განიხილა სმირნოვის განცხადება და დაადგინა. ა) საკ. კომ. პარ. (ბ) 1926 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება შეიცვალოს და აღდგენილ იქნას ამხ. სმირნოვი ვ. მ. საკ. კომ. პარ. (ბ) წევრათ. ბ) გაფრთხილება მიეცეს სმირნოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის დაარღვევს პარტიისათვის მიცემულ დაპირებებს, ამით ის თავის თავს დააყენებს პარტიის რიგებს გარეშე. (ადს).

პროფკავშირთა საკავშირო ყრილობაზე

კუკი ტრიბუნაზე



ტრიბუნაზე ადის კუკი. მქუხარე ტაში, გაუწყვეტელი ოვაცია. კუკი ალაგებს ხელნაწერებს და უცდის დარბაზის დაწყნარებას, მანამდე ჭიქაში წყალს ასხამს. კუკი რუსულად ამბობს პირველ სიტყვას: „товарищи". კვლავ ჰქუხს ტაში. კუკი სარგებლობს მომენტით, იღებს ხელში ჭიქა წყალს, ღვინით სავსე თასივით მაღლა ასწევს მას, ღიმილით გადაავლებს თვალს აუდიტორიას და შეუსვენებლად ერთბაშად დასცლის ჭიქას. კვლავ ტაშის გრიალი და ოვაცია. ორატორსა და აუდიტორიას შორის მჭიდრო კავშირი გაება.

კუკი მოსკოვში ჩამოვიდა არა, როგორც ექსკურსანტი ან საპატიო სტუმარი, არამედ როგორც წარმომადგენელი გმირ მემაღაროების, რომელნიც თუმცა მუშაობას დაუბრუნდენ, მაგრამ მტკიცედ დგანან თავის გადაწყვეტილებაზე იბრძოლონ თავიანთ მთავარ ლოზუნგებისათვის. კუკი ანგარიშს აბარებს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს თავისი მუშაობის შესახებ. სოციალ - გამყიდველები და ლონდონის ბურჟუაზიული მწერლუკები ცილს სწამებენ კუკს, უწოდებენ მას მოსკოვის ციერ „ლაქიასა აგენტს". საბჭოთა კავშირის მუშები მემაღაროეთა ბრძოლას თავის საქმედ სთვლიან. დელეგატები გულდასმით უსმენდნენ, ხარბად იჭერენ თვითეულ სიტყვას, სცდილობენ ორატორის თვითეულ კილოში, თვითეულ მიმოხვრაში ჰპოვონ გაუგებარ სიტყვების ახსნა.

კუკის სიტყვის გამოცემა შეუძლებელია, საჭირო იყო მისი მოსმენა, საჭირო იყო მისი გაკითხვა გულდასმით, ვინაიდან მასში აღბეჭდილი იყო მაინერის ძლიერ გმირული ბრძოლის ღირსეულების უდიდესი ღალატის ყველა მომენტები.

სანამ სიტყვას წარმოსთქვამდა, კუკმა გამიზიარა ინგლისის სანახშირო რაიონებში მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი და სთქვა:

— განსაკუთრებით საკვირველია ქალების ასალგაზრდობის საქციელი. ისინი მართლაც გმირულად იყვნენ მომქვდარიყვნენ ბრძოლაში.

— საკვირველი ხალხია! — დასძინა კუკმა. — მაინც ინგლისის მემაღაროეთა ოჯახის შვილმა.

მახლობელ პერსპექტივაში კუკი სანუგეშოს ვერას არაფერს ამბობს. მწარმოებელთა ტერორი. მასიური უმუშევრობა მემაღაროეთა შორის: ერთი - ორი თვის შემდეგ ყოველი მესამე-მეოთხე მემაღაროე უმუშევრად დარჩება. მაგრამ ყველაზე საშიში — ეს არის რეფორმისტების აგიტაცია „მშვიდობიანობის სასარგებლოდ მრეწველობაში". სნოუდენი, პიუ და კომპ., რომელნიც 200—500 მანეთს იღებენ წერილში, ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე ჩირქს სცხებენ მემაღაროეთა ბელადებს და ამბობენ: თავისი დანაშაულებრივი უგუნურობით ვერაფერი გაიაჯ-ხნეთ ხანგრძლივ კონფლიქტს საქნახშირო მრეწველობაში". ბატონნი სნოუდენები ქადაგებენ „მშვიდობიანობას მრეწველობაში", სცდილობენ რა ახსნონ გამოვლენილ და გაძვალ - ტყავებულ მუშების „დაღუპით".

ამხ. კუკმა ყველა ამ მქადაგებელთ უპასუხა სენსაციურმა წიგნაკით „არის ეს მშვიდობიანობა?", რომელიც ახლა ხან გამოვიდა ინგლისში. საინტერესოა ამ წიგნაკის გამოქვეყნების უშუალო საბაბი. საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიულმა გაზეთმა „დეილი ექსპრეს"-მა კუკს შესთავაზა 200 მანეთი, თუ ის მოათავსებდა წერილს შემდეგ თემაზე: „მშვიდობიანობა მრეწველობაში". კუკმა, რასაკვირველია, უარი სთქვა ამ წინადადებაზე და გამოუშვა ზემოხსენებული ბროშიურა, რომელშიაც ღირსეულად შეაფასა ინგლისის მუშათა მოძრაობის გამყიდველი ბელადები.

კუკი სწერს: „იქნება იდეალურ საქმე ჯერ კიდევ იქნებოდა, რომ თვითონვე თავი ჩამოეხრჩო: მას რ დაუწერია წერილები ჩიროდთან და რომელთან მშვიდობიანობის და თანამშრომლობის დასაცავად. ეს საქმე ფარისეველთ დაუთმო".

მაგრამ კუკი არა თუ ამათრახებს გამყიდველებს. დრო არ ითმენს, საჭიროა ძალების დარაზმვა, ახალი ბელადების წამოყენება, საჭიროა ახალი ხელმძღვანელობა, პოზიციების გამაგრება და ახალი ბრძოლებისათვის მზადება. ეხლანდელი მომენტი — ეს მხოლოდ შესვენებაა. მაკდონალდი, სნოუდენი, ტომასი და სხვ. ცდილობენ ხელი აიღონ „პოლიტიკაზე", სამრეწველო კი ეს ნიშნავს მუშების მიერ საკუთარ პროლეტარულ პოლიტიკაზე ხელის აღებას და ბურჟუაზიის მაჩანჩალობაზე დათანხმებას, — ასე სწერს კუკი.

კუკი ინგლისელ მემაღაროეთა წინაშე აყენებს ორ მთავარ ამოცანას. საჭიროა მემაღაროეთა უხერხემლო ფედერაცია იქცეს ერთიან, შეკავშირებულ პროლეტარულ კავშირად. საჭიროა შეიქმნეს ინგლის - რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტი, რომელიც განამტკიცებს ძმურ მეგობრობას მუშების ამ მსოფლიო რაზმებს შორის და მკვიდრ ნიადაგს შეუქმნის პროლეტარიატის მთლიანობას მთელს მსოფლიოში.

ამხ. კუკმა თავის მოხსენებაში განაცხადა: ჩემი ხელები სუფთაა, არც ერთი ლაქა მათ არ აჩნია; ჩვენ მომავალშიაც ვიბრძოლებთ და განვაგრძობთ ძალების დარაზმვას კაპიტალიზმის დასამხობად. მისი სიტყვის უკანასკნელი ნაწილი, რომელიც კაპიტალიზმის კრიტიკას შეეხებოდა, ალესილი იყო კაპიტალიზმისადმი უსაზღვრო ზიზღით, რაც მოწმობდა იმას, რომ ის მზად არის არ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს საბოლოო გამარჯვების გულისთვის.

თავისი სიტყვის შემდეგ კუკმა საუბარში გამოსცა თავისი პირველი შთაბეჭდილებები, მიღებული საბჭოთა კავშირში.

— მოსკოვში მე პირველად ვარ. თქვენ იცით, რომ მე აქ მოვედი, როგორც საბჭოთა კავშირის მეგობარი, სიყვარულის და თაყვანის ცემის გრძნობით; მაგრამ ეს ყრილობა აღემატება ყოველივეს, რაც კი მე შემეძლო წარმომედგინა.

თქვენ, — სთქვა მან გამოთხოვებისას — ცოტას გაწყრთ თქვენი მიღწევების შესახებ. მოგვაწერეთ ხშირად და უფრო ვრცლად, და მაშინ თვით ყველად გაუნათლებელი ინგლისელი მუშაც კი დაიჯერებს იმას, რაც ეხლაც შეგნებული აქვს ინგლისის მუშათა კლასის მნიშვნელოვან ნაწილს. თქვენ მიდიხართ წინ, ჩვენ კი ულ უფრო და უფრო დაბლა ვეშვებით.

დ. ი.

„პრავდა"

დავიცვათ ტყეები

ხშირად მოდის ცნობები ტყეებში ხანძარის გაჩენის შესახებ. ამ ბოლო ხანებში გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში ნახავთ ასეთ ცნობებს, მაგრამ სამწუხაროდ იშვიათად არის აღნიშნული ტყის ხანძრის გამომწვევი მიზეზები.

ავიღოთ თუ გინდ გაზ. „კომუნისტი"-ს 9 დეკემბრის ნომერი. აქ ნახავთ შემდეგ ცნობას: „სიღნაღის მაზრის სატყეო... დაიწყო ძლიერი ხანძარი. იწვის ტყის დიდი მოედანი. ცეცხლი მოედო, უმთავრესად, ფოთლოვან რაიონებს. ხანძარს აქრობს ადგილობრივი მოსახლეობა". „კომუნისტი"-ს იმავე ნომერში სწერია: „ამ ორი დღის წინათ ცეცხლი გაუჩნდა სალორიის ტყეს, ქუთაისიდან 6 ვერსის დაშორებით. ცეცხლი გაჩნდა ექვს ადგილას და ჩქარა მოედო ტყის დიდ სივრცეს". იქვე ქვევით აღნიშნულია რომ ცეცხლი ჩაქრობილ იქნა, რომ „ზარალი საგრძნობია", მაგრამ როგორც პირველ ცნობაში, ბაღდადის ტყის ხანძრის შესახებ, აქაც ნაჩვენები არ არის თუ რა მიზეზით გაუჩნდა ცეცხლი ტყეს. თვით ის ფაქტი, რომ ქუთ. ძახლოლად ერთდაიმავე დროს „ცეცხლი გაჩნდა ექვს სხვადასხვა ადგილას", გვაფიქრებინებს რომ აქ საქმე გვაქვს არა სამწუხარო გაუფრთხილებლობასთან, არამედ შეგნებულ ბოროტმოქმედებასთან. ყოველ შემთხვევაში საქართველოს სხვა ადგილებში ტყის ხანძრის გაჩენა ძალიან ხშირად ბოროტგანმზრახველთა საქმეა, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებს მთელ ჩვენ ქვეყანას.

იმავე „კომუნისტი"-ს წინადღის 8 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა ოფხაზეთიდან: „მურმში ჩაქრობილის ტყის ხანძარი. სოფლებს არ მოსდებია ცეცხლი. ამჟამად ხანძარი გრძელდება ოჩემჩირის სატყეოსა და კოდორის საზოგადო ტყეებში". მაგრამ არა თუ ოჩემჩირისა და კოდორის რაიონებში არამედ შეუცდომლათ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს სხვა ადგილებშიაც გრძელდება ტყის ხანძარი და ყოველდღიური ზარალი ათიათასი მანეთობით დაითვლება. ამ ზარალის მანეთობით დათვლა შეუძლებელია თუ მხედველობაში მივიღებთ რამდენად იცვლება ტყის მოსპობით ჰავის და ხშირად ნიადაგის პირობებიც.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ფაქტებს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ამხ. ე. კაკულის წერილი თელავიდან „კომუნისტი"-ს 17 ნოემბრის ნომერში: უკვე გაიხსნა ტყეების ხანძრის სეზონი, სწერს ამხ. კაკული. შემოდგომა და ზამთარი, ნამეტნავად თუ მშრალი და გვალვიანი ამინდებია, დიდი საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი კუთხისთვის. რამდენიმე დღე მოსჩანდა კავკასიონის მთების კალთებზე დღისით ბოლი და ღამით ცეცხლი. იწვის ძვირფასი ტყე. საღამოობით შორიდანაც ამჩნევ როგორ მიიწევს ცეცხლი, როგორ ფართოვდება ხანძრის მოედანი". და ასე ხდება არა მარტო კახეთში, არამედ სხვაგანაც. გაზეთებში ხომ ყველა შემთხვევები არ იქნება აღნიშნული.

იმავე წერილის ავტორის აზრით „უმრავლეს ტყის დაცვა. შემთხვევაში ცეცხლს აჩენს მწყემსები და მონადირეები თავიანთი შეუგნებლობით და გაუფრთხილებლობით. მაგრამ საქმე ის არის, როდესაც ცეცხლს განზრახ აჩენენ". ჩვენ ვფიქრობთ რომ არა თუ ხშირად, შეიძლება უმეტეს შემთხვევაში „ცეცხლს განზრახ აჩენენ". ყოველ შემთხვევაში ყველა განცხადებებს ტყის ხანძრის გაუფრთხილებლობით გაჩენის შესახებ სარწმუნოთ ვერ მივიღებთ. სასჯელის მოლოდინში, ცხადია, ყოველი ბოროტმოქმედი ხანძრის გაჩენას გაუფრთხილებლობით ახსნის. მაგრამ თავისთავად ასეთი გაუფრთხილებლობაც ხომ დანაშაულს უდრის!

ამნაირად ჩვენი ტყეების მოედანი თანდათან მცირდება. ერთ დროს მდიდარი, ბუნებრივი ტყით განთქმული საქართველო უკვე იძულებულია ხელოვნური ტყის გაშენება დაიწყოს. რასაკვირველია, ტყის განადგურების და მოსპობის მიზეზები სხვაც ბევრია: ტყის უგეგმოთ გაჩეხვა, ნორჩი ტყის საქონლის მიერ გაკორტნა და სხვა. ყოველივე ამის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული ძალზე ყოველ შემთხვევაში ხანძარი უფრო საშიში მტერია, მის მიერ გამოწვეული ზარალი უფრო საგრძნობია და მის განზრახ გამჩენთა წინააღმდეგ მით უფრო სასტიკი ზომების მიღებაა საჭირო.

ამასთან ერთად აუცილებელია ფართო ახსნა-განმარტებითი კომპანიის ჩატარება გლეხობაში ტყის დაცვის მნიშვნელობის შესახებ. მხოლოდ ფართო მასების დახმარებით არის შესაძლებელი ტყის დაცვა და ტყის განმანადგურებელთა წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა.

თითო ოროლა მახინჯი და ბოროტმოქმედი ყოველ დროს შეიძლება იქნეს, მაგრამ ისინი აღკვეთილი უნდა იქნან თვით მშრომელი გლეხობის მიერ. როგორც სჩანს იმავე თელავის კორესპონდენტის წერილიდან, ამ უგვნური პირთა წინააღმდეგ ხალხის რისხვა კიდეც იზრდება. ყოფილა თვითგასამართლების შემთხვევებიც ტყის ხანძრის განზრახ გამჩენთა წინააღმდეგ. ეს მით უმეტეს არის მოსალოდნელი, რომ მშრომელი გლეხობა ზოგიერთ ადგილებში საკმაო დიდ დროს კარგავს ტყეში ცეცხლის ჩასაქრობათ.

თვითგასამართლება, რასაკვირველია, დასაგმობია. შეგნებულმა გლეხობამ მასგან თავი უნდა შეიკავოს და სასამართლოს ორგანოების საშუალებით უნდა აწარმოოს ბრძოლა ტყის განმანადგურებელთა წინააღმდეგ.

ტყეები იჩეხებოდა, იჩეხებოდა და ნადგურდებოდა მეფის მთავრობის დროსაც. მაშინ გლეხობაში ეს ხშირად მამაცობათ მიიჩნიოდა. ტყე „სახაზინო" იყო და ყველამ იცის თუ როგორ ეპყრობოდენ „სახაზინო" ქონებას. მემამულეთა ტყეებს ხშირად რევოლუციონური პროტესტის ნიშნად კიდევაც ანადგურებდენ გლეხები. მაგრამ ეს დრო სამუდამოდ წავიდა. დღეს ტყეც და ხაზინაც ხალხის არის, მშრომელი ხალხის, რომელმაც უნდა შესძლოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის და მისი დამამშვენებელი ტყის დაცვა.

ი. ბ.

წვევამდე სამხედრო მზადება

(თეზისები მომხ სენებლებისათვის)

1. შრომის ექსპლოატაციაზე აღმოცენებულ კაპიტალისტურ მსოფლიოს დაღლევის საქმეში, გარდა იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც ვითარდებიან მისივე წიაღში, უდიდეს როლს თამაშობს დედა-მიწის მეექვსედ ნაწილზე განმტკიცებული მუშურ-გლეხური საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. კაპიტალისტური სახელმწიფონი, რომელთა გარემოცვაში იმყოფება საბჭოთა ქვეყანა, ბრძოლის ახალ მეთოდებს და უამრავ დიპლომატიურ ხრიკებს იშველიებენ, რათა შეაჩერონ შიგნით მოზღვავებული რევოლიუციონური ტალღები. გაამაგრონ ისტორიულად განწირული თავიანთი პოზიციები და გაამარცხონ პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ფართო სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყანა—დასაყრდენი მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისა, ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური შეგნების ზრდა, აღმოსავლეთის ხალხთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა მოსვენებას არ აძლევს მძლავრ კაპიტალისტებს. ისინი ჩახლართული არიან წინააღმდეგობებში და გატაცებულნი იმპერიალისტური ზრახვებით მიაქანებენ კაცობრიობას ახალ იმპერიალისტური ომისკენ, ახალ სასაკლაოსაკენ. სწორეთ ასეთ იმპერიალისტურ საფრთხისაგან უპირველეს ყოვლისა არ არის დაზღვეული საბჭოთა ქვეყანა, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს უშუალო საფრთხის წინაშე არ ვდგევართ.

2. ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვიყოთ. ყოველი მუშა, ყოველი გლეხი, თუ ინტელიგენტი, რომელთაც თავიანთი ინტერესები დაუკავშირებიათ საერთო მშრომელებისა და საბჭოთა ქვეყნის ბედთან, უნდა დაინტერესდენ ჩვენი ქვეყნის ბრძოლის უნარიანობის გაზრდისა და მშვიდობიანი აღმშენებლობის დაცვის საქმით. მსოფლიო და სამოქალაქო ომების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მომავალი ომი ბრძოლის გარეშე არ დატოვებს არავის. ომიანობის მიხედვით საფრანგეთი მუდმივი არმიის შენახვა მშვიდობიანობის დროს აუტანელ სიმძიმეთ დააწვებოდა ჩვენს სახელმწიფოს, შექმნიდა უდიდეს დაბრკოლებებს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში და დიდი ხნით მოსწყვეტდა მშრომელებს თავიანთ კერას.

3. უდიდესი მიღწევები სამხედრო ტეხნიკასა, ავიაციასა და ქიმიაში არამც თუ ქმნიან პირობებს მებრძოლ ადამიანთა რიცხვის შემცირებისას, არამედ ქმნიან უფრო ფართე სარბიელსა და შესაძლებლობას მრავალრიცხოვან ჯარების გამოყენებისა. ამის აშკარა დამამტკიცებელია ის ფაქტები, რომ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც ტეხნიკა ასე გიგანტიურათ ვითარდება, ჯარები არამც თუ მცირდებიან, არამედ აშკარათ თუ ფარულათ იზრდებიან. კაპიტალისტური სახელმწიფოები ჯარის გარეშეც ქმნიან სამხედრო სწავლების ორგანიზაციებს და რაზმებს (იტალიაში: „ფაშისტური რაზმები", პოლონეთში: „მსროლელები", „სამშობლოს ბრძოლის უნარიანობის კავშირი და სხვა).

4. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის აღმოცენების დღიდანვე წამოაყენა ლოზუნგი და არა ერთხელ მიმართა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს (გენუის კონფერენცია და სხვა) საყოველთაო განიარაღების შესახებ, მაგრამ ამის პასუხათ ისინი კიდევ უფრო ანვითარებენ სამხედრო ტეხნიკას და დღით-დღე ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტს.

5. სამოქალაქო ომებიდან მშვიდობიან აღმშენებლობაზე გადასვლა საბჭოთა ქვეყანამ ეკონომიური გაჭირვების და შემდეგი გაფართოება--გაზრდის მიზნით შეამცირა თავისი ჯარი 560.000-დე, რაც მასზე მოსალოდნელ თავდასხმის დროს, რასაკვირველია, საკმაო არ იქნება. ამიტომაც შემოღებული იქნა ტერიტორიალური სისტემა, რაც საგრძნობლად ადვილებს ახალგაზრდობის მიერ სამხედრო ზეგარის მოხდას, რადგან ხუთი წ. განმავლობაში (რომლის დროსაც ცვალებადი წითელი-არმიელი ირიცხება ტერნაწილში) ყაზარმულ სამხედრო მომზადებას ის გადის 8 თვეს თავის რაიონში ან მის მახლობლათ.

6. ბურჟუაზიული ქვეყნები თავის ჯარების მხოლოდ სამხედრო აღზრდას ისახავენ მიზნათ, ებრძვიან მათში ყოველგვარ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, რადგან საკუთარ ინტერესებში გარკვეული და პოლიტიკურათ გათვითცნობიერებული არმია, რომელიც იმავე მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისაგან შესდგება, მათ წინააღმდეგ მიმართავდა იარაღს. ჩვენში კი ქვეყნის თავდაცვის, მისი ბრძოლის უნარიანობის გაზრდისათვის უნდა მოხდეს ახალგაზრდობის, როგორც სამხედრო, ისე საერთო პოლიტიკური აღზრდა, რადგან მშრომელთა ინტერესების შეუგნებელი და პოლიტიკური გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდობა ვერ შექმნის იმ კოლექტიურ სულსა და ურყევ ნებას, რომელიც ასე საჭიროა მშრომელთა ინტერესების და ქვეყნის დასაცავად. ბურჟუაზიულ არმიებში კი საკმაო დიდი ვადაა ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდისათვის. ჩვენს ტერნაწილებში კი 8 თვე, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ აღზრდისათვის უეჭველად საკმაო არ არის. გარდა ამისა ჩვენი წითელი არმიის რიგების შესავსებათ საჭიროა გამძლე და ჯანმრთელი ახალგაზრდობა, რისთვისაც აუცილებელია ერთგვარი წინასწარი მუშაობა და ამიტომაც არის სწორეთ შემოღებული მშრომელთა ახალგაზრდობის წინასწარი მომზადება.

7. საერთოდ და არმიის ტერიტორიალურ პირობებში, მით უმეტეს, აუცილებელი ხდება ახალგაზრდობის წინასწარი მომზადება. ჯანმრთელობა კუნთებისა და სასუნთქავ ორგანოების სისაღე, სიმკვირცხლე და უნარიანობა ახალგაზრდობაში უნდა განვითარდეს სასკოლო ასაკის დასრულებამდე. ამიტომაც წინასწარი მზადების პირველ პერიოდათ ითვლება სასკოლო მომზადება 16 წლამდე, რაც უნდა ჩატარდეს შრომის სკოლებს და სათანადო პიონერთა და სპორტიულ ორგანიზაციებში. ამის შემდეგ ახალგაზრდობა თანდათან უნდა შეეჩვიოს დისციპლინას, კოლექტიურ მოქმედებას, სწრაფ მოაზრებას, ამა თუ იმ დაბრკოლებების დასაძლევად, გამძლეობას სხვა და სხვა პირობებში და სხვა. ეს კი გულისხმობს მზადების მეორე პერიოდს: წინასწარ მომზადებას 17-19 წლამდე, რომელიც უნდა ჩატარებული იქნას სამხედრო ნაწილების თვალ-ყურის დევნების ქვეშ—საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისა, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაცია—დაწესებულებებში.

8. მშრომელი ახალგაზრდობა, რომელსაც მინიჭებული აქვს საარჩევნო უფლება და შეუძლია წითელ არმიაში სამსახური, 19-დან—21-წლამდე გადიან სამხედრო წვევამდე მომზადებას წვევამდელთა წერტებზე, რომლებიც არსდებიან წვევამდელთა საცხოვრებელ თემებსა, სოფლებსა, წარმოება-დაწესებულებებსა და ქალაქის უბნებში. წვევამდელთა მზადება სწარმოებს წელიწადში თითო თვე, ე. ი. ახალგაზრდა, სანამ შევიდოდეს წითელ-არმიის რიგებში გადის წვევამდე მზადებას ორი თვის განმავლობაში. წვევამდე მომზადება მიზნათ ისახავს ახალგაზრდობის მიერ სხვადა სხვა საბრძოლო იარაღების ხმარებას, სამხედრო წყობილების შეტევითი და მოგერიებითი ბრძოლის წესების, შინასამსახურის წესებისა და აუცილებელ პოლიტიკურ საკითხების შესწავლას. იმ მიზნით, რომ მშრომელი ახალგაზრდობის წვევამდე მომზადებამ არ გამოიწვიოს მათი მეურნეობის შეფერხება—ეს ერთ თვიანი მომზადება ყოველთვის ხდება ან შემოდგომაზე ან ზამთარში, როცა ასე თუ ისე გლეხური ახალგაზრდობა განტვირთული არის სამუშაოდან.

9. წვევამდე მომზადება მშრომელებისა არის სამხედრო მომზადების მიახლოვება თვით მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებთან. იქ, სადაც შენობებისა და სათანადო მოწყობილობის საკმაო რაოდენობაა, წვევამდელთა წერტების მოწყობა არ წარმოადგენს სიძნელეს. მაგრამ იქ, სადაც ასეთები ნაკლებია (მაგალითად სოფლად) წერტების მოწყობას და ზოგიერთ მწვევამდელისათვის, რომლებიც სამოსწავლოთ შორი მანძილიდან დადიან, ბინების მიცემას მრავალი დაბრკოლებები ელობება წინ. ყველა ამ დაბრკოლებების დასაძლევათ საჭიროა ყველა ადგილობრივი საბჭოთა და პარტიულ ორგანოების უშუალო და ენერგიული დახმარება. პოლიტგანებმა, სამკითხველოებმა და კლუბებმა უნდა გაუწიონ ყოველგვარი კულტურული დახმარება წერტებს; კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა თავის დროზე უნდა ჩაატარონ ახალგაზრდობაში სათანადო კამპანია: გამოყონ მომზადებული პოლიტხელმძღვანელნი და თავის წვევამდელ წევრების საშუალებით ხელი შეუწყონ მეცადინეობის წარმატებით მსვლელობას; ადგილობრივ კომუნალურმა ორგანოებმა წერტები თავის დროზე უნდა უზრუნველჰყონ ბინებითა და სხვა ტეხნიკური მოწყობილობით. მხოლოდ ასეთი დახმარებით იქნება შესაძლებელი წვევამდე მზადების წარმატებით ჩატარება.

10. საბჭოთა ხელისუფლება სამხედრო აღმშენებლობაში ორ უმთავრეს ამოცანას ისახავს: ახალგაზრდობის სამხედრო საქმეში სათანადო მომზადებას და მეორე მხრივ ამ მომზადების ისეთ ფორმებში წარმოების, რომელიც აუტანელ სიმძიმეთ არ დააწვება მშრომელებსა და მათ სახელმწიფოს. თვითეული წითელი არმიელის შენახვა კი ერთი წლით სახელმწიფოს საგრძნობი თანხა უჯდება. აქედან ცხადია, რომ წვევამდე მომზადება ფრიად სასარგებლო და საჭიროა მშრომელთათვის.

11. წვევამდე სამხედრო მომზადება, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საბრძოლო უნარიანობის გამაგრებისათვის წინასწარ მუშაობას, გარდა თავისი უშუალო დანიშნულებისა იძლევა ახალგაზრდობის კულტურულათ და პოლიტიკურათ გათვითცნობიერებას.

გამოცდილება გვეუბნება, რომ ახალგაზრდები, რომლებმაც გაიარეს წვევამდელთა მზადება, უფრო ენერგიულათ ებმებიან სოფლის კულტურულ აღორძინების საქმეში: ღებულობენ მონაწილეობას ქოხ-სამკითხველოებისა, კლუბებისა და სხვა კულტურულ მუშაობაში. წვევამდელების მოსახლეობაში შეაქვთ ერთგვარი სამხედრო ცოდნა და ამით მოსახლეობის გასამხედროების ამოცანების შესრულება უფრო ადვილი ხდება.

12. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მწვევამდე მომზადებას ფიზკულტურის განვითარების საქმეში. ჯერ თვით წვევამდელი ახალგაზრდობა იმ სამხედრო მომზადებით, რომელსაც გადიან წერტებზე, ანვითარებს თავის ფიზიკურ და სულიერ ძალებს, ხელს უწყობს ჯანმრთელობას და სხვა, მაგრამ ამავე დროს, როდესაც მოსახლეობა უცქერის თავისივე სოფელში ან უბანში დარაზმულ ახალგაზრდობას, მის ვარჯიშობას, ეცნობა სამხედრო სწავლებას და სათანადო მუშაობას—ხდება დაინტერესებული ამ საქმით და ცდილობს თავისი შვილების ასეთივე აღზრდას. ამრიგათ წვევამდე მზადება სხვათა შორის ფიზკულტურის ცოცხალი და თვალსაჩინო პროპაგანდათ იქცევა. ამიტომ ყველა საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ყოველი მუშა და გლეხი უნდა ცდილობდეს წვევამდე მომზადების სასურველად ჩატარებას.

მეორე ქართული მხრ. დივიზიის პოლიტგანყოფილება.

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

მოსკოვი, 18 დეკემბერი. გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიამ განიხილა საკითხი ბაქო - ბათომის ნავთსადენის გადაკეთების შესახებ.

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ასეთი გადაკეთება რაციონალურად და ხელსაყრელად სცნო, ვინაიდან ეს განთავისუფლებს 1.500 ცისტერნს და 30 ორთქლმავალს და მომავალში მოგვცემს 9 მილ. მან. ეკონომიას. ნავთის გაზიდვა გაიაფდება 40 პროცენტით. ნავთსადენის გადაკეთება ჯდება 27.480.000 მ., რომელთაგანაც ა.-კ. რკ. გზათა ხარჯთ - აღრიცხვით გაღებულ იქნება 458.000 მან. დანარჩენი თანხა გზათა სახ. კომისარიატმა უნდა გაიღოს 1926, 1927 და 1928 წელში ვინაიდან ნავთსადენი არსებითად შეასრულებს სატრანსპორტო ფუნქციებს ცნობილ იქნა, რომ როგორც გადაკეთება, ისე შემდგომი ექსპლოატაცია წარმოებულ უნდა იქნეს გზათა სახ. კომისარიატის ორგანოების მიერ. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე

ბაქო, 18 დეკემბერი. დამთავრდა ალი-ჯაბარ-იბრაგიმ-ოღლის საქმის გარჩევა, რომელიც გრძელდება სამი დღის განმავლობაში.

მას ბრალად ედებოდა თავისი ცოლის სადიხაზის და სტუდენტ აჰი-აბდულ-ბეგის მოკვლა ეჭვიანობის ნიადაგზე. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ჯაბარ-იბრაგიმ-ოღლი მკვლელობაში და მიუსაჯა დახვრეტა. (ადს).

თათბირი მალიარიის შესახებ

ერევანი, 18 დეკემბერი, 19 დეკემბერს გაიხსნება თათბირი მალიარიის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ტროპიკული ინსტიტუტი, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ტროპიკული სადგური და სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველო. (ადს).

ბრინჯი

ერევანი, 18 დეკემბერი. 1927 წ. გაზაფხულიდან მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს მოახდინოს ბრინჯის დათესვის ცდები ახალი იტალიური მეთოდების მიხედვით. ამ მეთოდს დიდი უპირატესობა აქვს ადგილობრივ მეთოდთან შედარებით. (ადს).

რა უწოდოთ ამას

(მუშათა და გლეხთა ინსპ. საყურადღებოდ)

ნიკოლოზ გიორგაძე აჭარისტანის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში მსახურობდა საქმეთა მმართველის თანამდებობაზე. მსახურობდა ის, როგორც ერთ-ერთი საქმის ერთგული და მუყაითი მუშაკი, ნდობით სარგებლობდა კავშირის წევრებსა და თანამშრომლებს შორის. მაგრამ, ვინ იცის თუ რა მიზეზით. ეს ჩვენ იმდენად არ გვაინტერესებს, ის მოხსნილ იქნა სამსახურიდან და როგორც, ეს ხდება ხოლმე, გიორგაძემ საქმეს კანონიერი მსვლელობა მისცა. მისი სამსახურიდან მოხსნა მოხდა 1925 წ. 15 აგვისტოს.

1925 წლის 23—24 სექტემბერს აჭარისტანის შრომის საქმეთა სისია არჩევს მოქ. გიორგაძის მიერ შეტანილ საჩივარს და ადგენს:

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის მდივანმა ბერუაშვილმა კავშირის საქმეთა მმართველი მოქ. გიორგაძე დაითხოვა ყოვლად უმიზეზოდ. დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლი, რის გამო მოქ. გიორგაძე აღდგენილი უნდა იქნეს თავის თანამდებობაზე, ხოლო მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს გადახდეს გაცდენილ დროის ხელფასი (თვიურად 50 მან.).

ეს დადგენილება, გაუსაჩივრებელი არ რჩება და უზენაეს სასამართლოს საკასაციო სხდომაზე მიდის. უზენაესი სასამართლო 1925 წ. 3 ნოემბერს ადასტურებს განაჩენს. საინტერესოა, რომ ორივე დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მოქ. გიორგაძე, როგორც ძიებამ დაამტკიცა, სავსებით პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, კარგად იცნობდა კავშირის საქმეებს და სხვა.

დადგენილების ასლი ხელში უჭირავს გიორგაძეს და გული საგულეს აქვს მაგრამ ზოგჯერ ძალა-უნებურად გაიფიქრებს: „ფონი გასავალს დალოცეო". გადის დრო. იუსტიციის სახ. კომისარიატის პროკურატურის განყოფილება 1926 წ. 20 მაისის თარიღით წინადადებას აძლევს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს, რომ განაჩენი მოყვანილ იქნეს სისრულეში.

გიორგაძე უკვე წელში გასწორებული დაბრუნდა სახლში. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. საქმე მაინც გაჭიანურდა. გიორგაძემ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულს მიმართა. უკანასკნელი უზენაესის აჭარისტანის რესპუბლიკის პროკურორის მიმართავს, სადაც ნათქვამია:

„ვინაიდან მოქ. გიორგაძის საქმე დიდი ხნით გაჭიანურდა, საქმე გარჩეულ იქნა შრომის სასამართლოს და სხვადასხვა ინსტანციების მიერ, ოლო მოქმედი დღემდე დაკმაყოფილებული არ არის. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქმის ასეთი გაჭიანურება ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია, რისთვისაც გთხოვთ მოგვაწოდოთ თუ რის გამო არის ეს საქმე კანონიერად და შედეგი გაეცნოთ".

რესპუბლიკის პროკურორი განმეორებით უგზავნის კავშირს შემდეგ მიმართვას (№ 4040): „გიგზავნით ამასთანავე მიწერმოწერას 10 ფურცელზე მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ყოფილი საქმეთა მმართველის მოქ. გიორგაძის სამსახურში აღდგენის და სათანადო თანხით დაკმაყოფილების შესახებ და გთხოვთ მოგვაწოდოთ გაწყვეტილებითი ცნობები, თუ რა მიზეზის გამო სასამართლოს დადგენილება არაა სისრულეში მოყვანილი და აგრეთვე მიღებულია თუ არა სათანადო ზომები აჭარისტანის სახკომსაბჭოს ცირკულიარული განკარგულების №6974 შესასრულებლად".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ცირკულიარული განკარგულება ამავე საქმის გარშემო გაგზავნილი იყო 15 სექტემბერს, რომელიც: განკარგულებაში ნათქვამია იყო: „სახკომსაბჭოს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია სასამართლოს მიერ მისცემ დადგენილების და საერთოდ მუშა-მოსამსახურეების შესახებ გამოტანილ დადგენილებათა შეუსრულებლობა, რაც სცემს სასამართლოს და სათანადო დაწესებულებათა პრესტიჟს და სხვა.

საინტერესოა კიდევ ის, რომ ყველა ამ ქირიში ხომ, ამდენი „ყუმბარების" საპასუხოდ მიწა-ტყის კავშირმა ერთხელ ამოიღო ხმა, მაგრამ, ისიც, რომ გარჩეულიყო უკვე იყო. რესპუბლიკის პროკურორის მიმართვის საპასუხოდ მიწა-ტყის კავშირის გამგეობა თავის მიმართვაში აღნიშნავს, რომ საქმეთა მმართველის თანამდებობა გაუქმებულია, ხოლო ივით ამ მიმართვას „საქმეთა მმართველი" წერს ხელს.

თითქმის წელიწადნახევარია, რაც ყველაფერი ეს მოხდა. რა დავარქვათ ამას: თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიული ხახება თუ უმაღლეს დაწესებულებათა მიმართ დაუმორჩილებლობა?

ჩვენი აზრით აქ ყველაფერია ერთად. საბჭოთა პირობებში ეს ყოვლად სამარცხვინო და გაუმართლებელი ფაქტია.

ვფიქრობთ, რომ დამნაშავე პირნი სათანადო პასუხს აგებენ ამგვარ თავხედობისათვის.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის ახალი გამოსვლების წინააღმდეგ

კიევში

კიევი, 18 დეკემბერი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სამქრო უჯრედის კრებამ პროტესტი განაცხადა ოპოზიციის მორიგი გამოსვლების წინააღმდეგ.

ქარხანა „ლენინის სამჭედლოს" უჯრედმა პროტესტი განაცხადა იმ „ოპოზიციონურ გმირების" ახალი გამოსვლის წინააღმდეგ, რომელთაც, იმის მაგიერ, რომ პატიოსნად შეესრულებინათ 16 ოქტომბერს მოცემული დაპირება, არა ჩვეულებრივის თავხედობით გაილაშქრეს საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ. უჯრედი საკავშირო კომპარტიის სთხოვს მიიღოს გადამჭრელი ზომები პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად. ასეთივე რეზოლიუციები გამოაქვთ სხვა წარმოებათა უჯრედებსაც.

მინსკში

მინსკი, 18 დეკემბერი. ბობრუისკში, ორშში და სლუცკში გამართული საოლქო პარტკონფერენციები რეზოლიუციებში გმობენ ოპოზიციის ახალ გამოსვლას და მოუწოდებენ კომინტერნს ერთსულოვნად წინ აღუდგეს გაერთიანებულ ოპოზიციას. (ადს).

დნეპროპეტროვსკში

[illegible], 18 დეკემბერი. საუწყებო და რაიონული პარტკრებებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიაც გმობენ ოპოზიციის ბელადების გამოსვლას კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე. (ადს).

მოსკოვში

მოსკოვი, 18 დეკემბერი. მოდის აურაცხელი რეზოლიუციები, რომლებშიაც დაგმობილია ოპოზიციის გამოსვლა კომინტერნის გაფართოებულ პლენუმზე.

მოსკოვში ქარხანა „[illegible]"-ის, სტამბა „მუშის აზრის", ბუხარინის სახელობის მუშფაკის და სხვა დაწესებულებათა უჯრედები თავიანთ რეზოლიუციებში ცეკასგან მოითხოვენ გადამწყვეტი ზომების მიღებას ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის აღმოსაფხვრელად.

ასეთივე რეზოლიუციები მიღებულია პარტკრებებზე ლენინგრადში, ასტრახანში, კავკავში და სხვა ქალაქებში. (ადს).

სტალინოში

სტალინო, 18 დეკემბერი. საქარხნო უჯრედების კრება მოითხოვს გადამწყვეტ ზომებს ოპოზიციონერების წინააღმდეგ. (ადს).

რა გააკეთა მეოთხე რაიკომმა

ორგანიზაციის ზრდა

ქალაქის ორგანიზაცია პარტ მე-8 კონფერენციიდან მე-9 კონფერენციამდე (დეკემბერი 1926 წ.) რიცხვობრივად გაიზარდა 24 პროცენტით. თუ ორგანიზაცია მე-8 პარტ. კონფერენციისათვის აერთიანებდა 2637 კომუნისტს, 1 დეკემბრისთვის 26 წ. ჩვენ გვყავს ორგანიზაციაში 3290 კომუნისტი.

საანგარიშო პერიოდში ე. ი. მე-8 პარტკონფერენციიდან მე-9 კონფერენციამდე მიღებულია სულ 439 კანდიდატი. მიღებულთა საერთო რიცხვიდან მუშაა 218 (49,7 პროც.), გლეხი 40 (9.1 პროც.) მოსამსახურე და სხვები—181.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური ცნობების მიხედვით ორგანიზაცია გაზრდილია უმთავრესად მუშების ხარჯზე (მიღებულია 49,7 პროც.) უნდა აღინიშნოს, რომ მუშების პროცენტი საერთოდ მაინც შემცირდა. თუ წარსულ კონფერენციისათვის მუშების რიცხვი აღწევდა 54.0 პროც., ამჟამად კი ის დაეცა 45,5 პროცენტამდე.

ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: დეკემბერ-იანვარში თბილისში ჩატარდა წევრთა სოციალური მდგომარეობის შემოწმება, რის შედეგათ მუშების პროცენტი დაეცა.

გარდა ამისა, იანვრიდან-ნოემბრამდე ორგანიზაციაში მოვიდა 155 მუშა, წავიდა (მოიხსნა აღრიცხვიდან) 244.

შემოვიდა 145 გლეხი—წავიდა 69—და ა. შ. ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა მე-9 პარტკონფერენციისთვის ასეთია: მუშები 45.5 პროც., გლეხები 11,5 პროც., მოსამსახ.—43 პროცენტი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ორგანიზაციაში ქართველების პროცენტი გაიზარდა 43 პროცენტიდან—50 პროცენტამდე.

პარტ-დატვირთვა

პარტ-დატვირთვის საკითხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული პარტიის მეორე ამოცანა. უჯრედის ძირითადი აქტივის წამოწევა.

რაიკომმა დროულად მიაქცია ყურადღება ამ საკითხის მოგვარებას, და ა. წ. ივლისში, ჩატარდა უჯრედების გამოკვლევა. გამოკვლევა ჩატარდა 8 დამახასიათებელ უჯრედში, რომ[illegible]

[illegible]

მელნიც ორგანიზაციაში შემოსულია „ლენინის გაწვევის" შემდეგ. დავინახავთ შემდეგს, 113—ამხანაგიდან პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია—68 (60 პროც.).

მათგან პარტიულ მუშაობაში ჩაბმულია 44 (65 პროც.). რაც შეეხება კანდიდატთა პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია:

დათვალიერებულ 114 ამხანაგიდან პრაქტიკულ ყოველდღიურ მუშაობაში ჩაბმულია 53 ამხ. (50 პროც.).

უმეტეს შემთხვევაში კანდიდატები ჩაბმული არიან პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში.

თუ გადავხედავთ ძველ კადრს რომელიც ჩვენს პარტიაში შემოსულია 1917 წლამდე, დათვალიერებულ 120 ამხ. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია 67 ამხ. (61 პროც.) მათგან პარტ-მუშაობაში ჩაბმულია 70 პროც.

ეს მაგალითები დამახასიათებელი იყო ყველა დანარჩენი უჯრედებისათვის. ასეთი მდგომარეობა ჩვენს ორგანიზაციაში იყო ა. წ. ივლისამდე.

მას შემდეგ კი ეს საკითხი რაიკომის მიერ შესწავლილი იქმნა და მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

ამჟამად ბიუროები უკვე შეუდგნენ ბიუროს და უჯრედის წევრთა შორის პარტ-დავალებათა გეგმიან განაწილების მუშაობის პროცესში თანდათანობით წამოიწია უჯრედის აქტივი.

ხელმძღვანელობა უჯრედებზე

მე-8 რაიპარტკონფერენციიდან მე-9 კონფერენციამდე საერთო ხელმძღვანელობა რაიკომისა უჯრედებზე გამოიხატებოდა შემდეგში:

1—9-ჯერ მოწვეული იყო უჯრედის პ. მ. მდივნების თათბირი, რომელზედაც გარჩეულია 30 საკითხი უმთავრესად საორგანიზაციო ხასიათისა, 6-ჯერ მოწვეული იყო უჯრედთა ბიუროს წევრთა კონფერენცია, კონფერენციაზე გარჩეულ იყო 12 საკითხი.

2. მუშაობის პრაქტიკაში მიღებული იყო აგრეთვე უჯრედის პ. მ. მდივნების გამოძახება საანგარიშო მოხსენებით. რომელიც უმთავრესად ისმებოდა ორგ თათბირზე.

სულ დასმული და მოსმენილი იქმნა 4—უჯ[illegible]

[illegible]

...საინტერესო საკითხების არასაკმაო მოზადება-დამუშავებაში.

2) საბჭოთა დაწესებულებებში ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების და პროტექციონიზმის არსებობა, რასაც საკმაოდ ენერგიულად არ ებრძვიან უჯრედები და პარტიული ამხანაგები, რომელნიც ამ დაწესებულებებში იმუშავებენ.

ძირითადი დირექტივების სახით შემდგომი მუშაობისათვის კონფერენცია აყენებს:

1) ორგანიზაციაში ყოველგვარ ანტი-ლენინურ გადახრების წინააღმდეგ წარმოებულ იქნეს ენერგიული იდეოლოგიური პარტიულ მასებისათვის ლენინის მოძღვრების. პარტიული ყრილობათა და ხელმძღვანელ პარტ-ორგანოების გადაწყვეტილებათა გაცნობის გზით.

2) ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოთ პარტიულ მუშაობის შემდგომ გამოცოცხლებას, უჯრედების და მთელი ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობაში შინა-პარტიულ დემოკრატიის ნამდვილ განხორციელების გზით.

3) უნდა გავაძლიეროთ ორგანიზაციის ზრდა პარტიაში შეგნებულ და მოწინავე მუშების ხარჯზე. პარტიაში მოსამსახურეების და სხვათა მიღების დროს საჭიროა სასტიკი შერჩევა.

4) ვინაიდან ორგანიზაციის ნორმალურ ზრდის ძირითადი პირობაა პარტიის მასიური მუშაობა—კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია ამ მუშაობის გაძლიერებისადმი მეტი ყურადღების მიქცევა და ის წინადადებას აძლევს ახალ რაიკომს შეიმუშაოს მახლობელ პერიოდში პრაქტიკული ღონისძიებები ამ მიმართულებით.

5) უნდა გავაძლიეროთ უჯრედების მონაწილეობა თავისი წარმოების და დაწესებულების მუშაობაში. უჯრედები ენერგიულ მუშაობას უნდა აწარმოებდენ მომჭირნეობის რეჟიმის ნამდვილ განხორციელებისათვის, წარმოების რაციონალიზაციისათვის და შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

6) ამ მხრივ კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საბჭოთა უჯრედების ცხოვრებასთან დაახლოვებას. უჯრედები სისტემატიურ და დაუზოგავ ბრძოლას უნდა აწარმოებდენ ბიუროკრატიზმის და სხვა ბოროტებათა წინააღმდეგ თავიანთ დაწესებულებებში.

სთვლის რა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მთელ პარტიულ ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანათ,—კონფერენცია წინადადებას აძლევს ახალ რაიკომს გააძლიეროს თავისი ყოველდღიური ხელმძღვანელობა საბჭოთა უჯრედების მუშაობის მიმართ.

7) საბჭოთა დაწესებულებების აპარატის გაჯანსაღების მიზნით, კონფერენცია წინადადებას აძლევს მიღებულ იქნეს ზომები ამ დაწესებულებების კომუნისტებით და წამოყენებულ მუშებით შევსებისათ.

8) პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები პარტიულ საგანმანათლებლო ქსელის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელთა სათანადო შემადგენლობით სკოლის საჭირო მოწყობილობით და სამოსწავლო წიგნებით.

9) ამასთანავე ერთად კონფერენცია მთელი ორგანიზაციის ყურადღებას აქცევს პარტიულებს შორის პარტიულ სწავლებისათვის პასუხისმგებლობის გადიდების აუცილებლობაზე.

10) პროფესიონალურ მუშაობის გამოცოცხლების მიზნით, აუცილებლად ჩაითვალოს ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომთა მასიური მუშაობის გაძლიერება და აგრეთვე აღმზრდელობითი მუშაობის გაფართოება მუშებსა და მოსამსახურეებს შორის.

11) პროფესიონალურ მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად კონფერენცია სთვლის საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას და მათ მუშაობაში შეპარებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

12) ითვალისწინებს რა კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციის რიცხობრივ ზრდას და აგრეთვე ამ ახალგაზრდობის პოლიტიკურ და კულტურულ მოთხოვნილებების გადიდებას, კონფერენცია აუცილებლად სთვლის: ახალგაზრდობის კომკავშირში და პიონერთა შორის პოლიტიკურ აღმზრდელობითი და კულტურულ მუშაობის გაძლიერებას, მათში პარტიული კადრის გადიდებას და პარტუჯრედთა ხელმძღვანელობის გაძლიერებას კომკავშირის უჯრედების მუშაობის მიმართ.

13) ქალთა შორის მუშაობის მხრივ, კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და აგრეთვე ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობის გამოცოცხლება და ამ მუშაობისათვის უფრო საქმიანი ხასიათის მიცემა.

მესამე რაიონის

რაიკომის მუშაობის შესახებ

მოისმინა რა რაიკომის წლიური ანგარიში მე-7 რაიონული პარტკონფერენცია სწორად სთვლის რაიკომის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს, ხოლო შესრულებულ მუშაობას დამაკმაყოფილებლად აღიარებს. რაიონული კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს ბოლშევიკურ გამობრძმედილობას, მჭიდროობას და ერთსულოვნობას, რომელიც გამოიჩინა რაიონულმა ორგანიზაციამ ბრძოლაში ოპოზიციის ცდის წინააღმდეგ—აწარმოებინა გამთიშავი ანტიპარტიული ფრაქციული მუშაობა. ჩვენი ორგანიზაციის უჯრედების კრებებზე ვერ შეკრიბეს რა ვერც ერთი ხმა, ოპოზიციის წარმომადგენლები სამარცხვინოდ წავიდნენ კრებიდან და ვერც კი გაბედეს გამოსვლა ოპოზიციის ხაზის დასაცავად.

აღნიშნავს რა იმ მდგომარეობის სირთულეს, რომელშიც რაიკომს უხდებოდა მუშაობა, რაიონის შემადგენლობის ნაციონალური სიჭრელის გამო, კონფერენცია აღიარებს, რომ ის ხაზი, რომელიც აღებული ჰქონდა რაიკომს პარტიის [illegible]

3) განაგრძოს პარტაქტივის შემდგომი ზრდა ახ. ლენ. კომკავშირში და კომკავშირის უფრო გამობრძმედილი და აქტიური წევრებისა და მოზარდთა გადაყვანა პარტიაში.

4) 100 პროც-ით გაძლიერდეს საფაბრიკო-საქარხნო ახალგაზრდობის ჩაბმა კომკავშირში, ამასთან ერთად გაძლიერდეს შინამრეწველ ახალგაზრდობის დარაზმვა კავშირებში.

5) გაძლიერდეს საბჭოთა უჯრედების მუშაობა ბიუროკრატიზმთან, დაუდევრობასთან და განსაკუთრებით პროტექციონიზმთან და აპარატის გასაიაფებლად საბჭოთა დაწესებულებებში, თანახმად საქ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას უკანასკნელი დადგენილებისა;

6) გაგრძელდეს მასიური მუშაობის შემდეგი გაძლიერება უჯრედებში.

7) გაცხოველებულ იქნას პარტორგანიზატორთა მუშაობა და გაძლიერდეს მათზე ხელმძღვანელობა;

8) გაგრძელდეს მუშების შემდეგი დაწინაურე[illegible]

[illegible]

პარტკონფერენციების რეზოლიუციები

მეორე (არსენალის) რაიონის

[illegible]

მოსახლეობის აღწერა

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან

მოსკოვში

მოსკოვი, 18 დეკემბერი. დღეს დილით მოსკოვში დაიწყო მოსახლეობის აღწერა. უპატრონო ბავშვთა აღწერა, რომელიც სწარმოებდა 17 დეკემბერს ღამით, დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ყველა უპატრონო ბავშვთა აღწერა არ მოხერხდა: როგორც კი გაიგეს მომავალი აღწერის შესახებ უპატრონო ბავშვებმა გამოიცვალეს ღამის გასათევი ადგილები. ბავშვებს პოულობდენ სხვადასხვა ადგილებში, კერძოდ, ნახერხში, ნაგვის დასაყრელ ადგილებში და სხვ. გან. უპატრონო ბავშვები ხალისიანად იძლეო[illegible]

[illegible]

მოსკოვი, 18 დეკემბერი. საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები დაწყებულ აღწერის შესახებ. აღწერა კარგად მიმდინარეობს. ზოგიერთ ადგილებში, მათ რიცხვში ინგუშეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში აღწერა უკვე დამთავრდა. (ადს).

ლენინგრადში

ლენინგრადი, 18 დეკემბერი. 17 დეკემბერს ღამით აღწერა დაიწყო ღამის გასათევ სახლებში, სასტუმროებში და სხვა ადგილებში.

[illegible]

ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცირკულიარი

[illegible]

საქართველოში

[illegible]

ამიერკავკასიის ქრონიკა

[illegible]

ამხ. ლენინის შესახებ

[illegible]

კუმისის ტბა

[illegible]

პოლიტგანათლების საქმე ჩვენში

საქართველოს პოლიტგანათლების მუშაობაში ყველაზედ უფრო მოისუსტებს პოლიტგანათლების მუშაობა თემში, სოფელში, ამის მიზეზი ადვილი გასაგებია; სუსტი ხელმძღვანელები ადგილებზე, უქონლობა შესაფერისი ლიტერატურის, ფინანსების სიმცირე, არა მჭიდრო კავშირი უმაღლეს და ქვემდგომ ორგანიზაციათა შორის და სხვ. ქოხ-სამკითხველო თემში უნდა იყოს კულტურის ნამდვილი კერა, რომელიც ღრმა კვალს უნდა აჩენდეს სოფლის ცხოვრებას.

ამ რამოდენიმე დღის წინეთ მე გავეცანი ზოგიერთ ქოხ-სამკითხველოს. უნდა დაუფარავად ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში ისინი შინაარსით ცარიელ ადგილს წარმოადგენენ. მაგალითისათვის მომყავს ერთ-ერთი ქოხ-სამკითხვე[illegible]

ქოხ-სამკითხველოების გამგეებს ჩვენ დღემდი ვეუბნებოდით: [illegible] გააცხოველეთ მისი მუშაობა და სხვა, მაგრამ თუ კი საქმეს ახლოს გაეცნობით უნდა ითქვას, რომ ამ წრეების მოწყობა არაა ასე ადვილი და იოლი საქმე, მისი ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმე ყველა ჩვენი ქოხ-სამკითხველოს გამგისათვის არ არის გასაგები, ერთი სიტყვით ეს საქმე არ არის ისე მარტივი, როგორც გვეგონა. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვისარგებლოთ რუსეთის გამოცდილებით, მაგრამ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

გვაქვს თუ არა დღემდე ქართულ ენაზე აგრონომიულ წრის მოსაწყობად შესაფერისი სახელმძღვანელო?

[illegible]

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა

[illegible]

ხანჯარი ტყეში

(პოემა)

[illegible]

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მაეისონის ულელტეხილზე

ქუთაისი, 18 დეკემბერი. მამისონის უღელტეხილზე დათოვა. თოვლი აღწევს ნახევარ არშინს. ეტლების მოძრაობა უღელტეხილზე შესწყდა. (ადს).

გზატკეცილის დაზიანება

ქუთაისი, 18 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში წვიმებმა გააფუჭა ქუთაის - წყალტუბოს გზატკეცილი. ალაგ - ალაგ ნიაღვარმა დააზიანა გზის ნაპირები. მათი შეკეთება არ სწარმოებს მუშა ხელის ნაკლულევანების გამო...

ბინები მუშებისათვის

ჭიათურა, 18 დეკემბერი. მუშათა საბინაო კოოპერაციამ შარშან ააგო ერთი სახლი, რომლის აგება დაჯდა 7.000 მანეთი. ამჟამად კოოპერაცია აშენებს ორ-სართულიან სახლს, რომლის აგება ჯდება 32.000 მანეთი. საამშენებლო მუშაობის გეგმით გათვალისწინებულია ერთი სახლის შეძენა მუშებისათვის. ამას გარდა გადწყვეტილია ორი სახლის აგება, რომელიც დაჯდება 64.000 მანეთი. კოოპერაციის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ააგოს აგურის ქარხანა დ. სანხერეში. (ადს).

...ჩულობენ უწყებებს გლეხები. დანიშნულ დღეს ისევ ცხადდებიან სასამართლოში, მაგრამ საქმე მაინც არ თავდება. ამრიგად ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში დადიან გლეხები სასამართლოში—ცუდ ამინდებშიაც და საქმე მაინც არ ბოლოვდება.

მაგალითისათვის მე მოვიყვან შემდეგ ფაქტს. სოფ. მაიდანის მცხოვრები ...

წერილები

მუშათა ცხოვრება

რამოდენიმე სიტყვა ტრანსპორტის ირგვლივ

ამ უკანასკნელ ხანში ძლიერ გახშირდა მატარებლების დამსხვრევა და ხალხის სიმდიდრის გახიაგება. რაა ყველა ამის მიზეზი. ამის შესახებ ბევრი დაიწერა გაზეთებში, ბევრმა მიუთითა მიზეზებზე, როგორც არის შემადგენლობის სიძველე, ფარკოფელების სისუსტე და სხვა. ყველა ამას რასაკვირველია აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არის სხვა საყურადღებო და მნიშვნელოვანი მიზეზებიც, რასაც ეწოდება დაუდევრობა და გულგრილობა.

დავასახელოთ რამოდენიმე შემთხვევა: გაიხსენეთ 300 ვერსის გადასარბენში, როდესაც ...

როგორ მუშაობს ფეიქრების № 1-ლი ფაბრიკა

საფეიქრო ზეთ-საპნის ტრესტის ფაბრიკა აერთიანებს 200-მდე ფეიქარს.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაბრიკამ გაიმართლა არჩევნების დროს მუშების ძიერ მიცემული „ნაკაზი“.

ფაბრიკა თავის მუშაობაში უმთავრეს ყურადღებას აქცევს მუშების ინტერესების დაცვას, რასაკვირველია წარმოების ინტერესების მხედველობაში მიღებით, წინედ არსებული ადმინისტრატიული გადახრა სავსებით აღმოფხვრილია, რაიც ფაბრიკის ავტორიტეტს მეტად ამაღლებს მუშებს თვალში.

მიხედეთ ამ დავიწყებულ უბანსაც

პირველი პეტროვის გასავალი „პადგორნი“ და მთელი ეს რაიონი დასახლებულია მუშაბელოსნებით და მშრომელი ხალხით.

უწინ ბევრჯერ მივმართავს ამ უბნის მცხოვრებლებს ქალაქის თვითმართველობისათვის რომ „მოეხედნათ ჩვენსკენ წყალობის თვალით“, და გამოეყვანათ ხსენებულ უბანში წყალი, გაეყვანათ კანალიზაცია და გაენათებიათ ქუჩები. მაგრამ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ რჩებოდა კოველთვის. ამის შემდეგ ჯანვლო ბთეულთ წლებმა, ამ უბედურ უბანს არაფერი არ ეშველა. იგი დღესაც უწყლოთ და უსინათლოთ არის.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საფინანსო კონტროლის რეორგანიზაცია

ხაბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მიღებულია მ. გ. ინსპექციისა და ფინსახკომის საფინანსო საკონტროლო სამმართველოს მიერ დამუშავებული დებულების პროექტი საფინანსო კონტროლის ფორმისა და სისტემის შეცვლის შესახებ.

ახალი დებულების მიღება სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოწვეულია საბიუჯეტო-სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესებით და ჩვენი დაწესებულებების საფინანსო სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგებით.

საფინანსო კონტროლის მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როცა მოუწყობელი იყო ქვეყნის ...

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად კონტროლის სისტემა სათანადოთ იცვლება; იცვლება აგრეთვე სარევიზიო მუშაობის მეთოდები და ტეხნიკა. სარევიზიო მუშაობის ძირითად მეთოდს, ახალ დებულებით წარმოადგენს ფაქტიური რევიზია, რომელიც საფინანსო კონტროლის ორგანოს მეტს საშუალებას აძლევს უწყებათა სანგარიშო მასალების და მათი სამეურნეო მდგომარეობის შესწავლისა და გაცნობისათვის.

ანგარიშიანობის მთლიანი დოკუმენტალური რევიზიის ნაცვლად შემოღებულია საკონტროლო ანგარიშიანობის წარმოების წესი ...

უბედურ შემთხვევების ვაჟი წარმოებაში

ა.-კავ. ავიაქიმის ყრილობა

მეცნიერება და ტეხნიკა

მიკრობებთან ბრძოლის ახალი საშუალება

ადამიანის სუნი ჰამოუშვს ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს

ავტომობილი რომელიც არ იშტვრევა

მარსკვლავეების რაოდენობა

ხილვადი ნუმერი ბანკეტი

სინათლის ვანები

უნივერსალური საათი

ღედამიწის მუშვიდე ნაწილი

უხარისხარი ტელეფონი

წვულკავა ვირე'ში

პატარა ფელეტონი

მონადირე და ვირისთავი

„გორში აგებულ იქნა შპალების საჟღენთი ქარხანა. დაიხარჯა საგრძნობი თანხა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამ ქარხანაში პროფ. გულენკის სისტემით გაჟღენთილი შპალი უფრო ადრე ლპება, ვიდრე გაუჟღენთავი. ქარხანა „დაიხურა“.

(გაზეთებიდან).

იყო ერთი მონადირე,
ძველთა ძველი ქონდა ხტაჟი.
ფეხმარდი და გამოცდილი
გულმაგარი ვითა კაჟი.
ნადირობის საქმეებში,
ის თავს სთვლიდა პირველ სპეცად.
სხვა ხუყველა მონადირე
მას მიაჩნდა მატრაკვეცად;
მართლაც კლავდა ხშირად ნადირს:
ხან იხვებს და ხანაც ბატებს,
მაგრამ ნახავთ მონადირეს
მართალს ტყუილს რომ არ უმატებს?
ჰო და, ჩვენი მონადირეც
რომ მოჰკლავდა ხოლმე იხვსა,
ტრაბახობდა: „გუშინ ტყვია
ვარტყი, ბოშო, გულში ჯიხვსა“.
ერთხელ იგი სანადიროდ
ადრიანად გაჰყვა დილით,
თოფი მხარზე გადაიდო
და ნაბიჯით მიდის ფრთხილით.
უცბად, შორით თვალი მოჰკრა
მუხლში რაღაც ჩამუქდარიყო:
„კურდღელია,—გაიფიქრა,
თუ არ მოვკლა მე არ ვიყო“,
ბევრი აღარ დააკვირდა
მოიზნიქა ოთხად წელში,
თოფი ფეხზე შეაყენა,
მოიმარჯვა კარგად ხელში,
მუცლით იწყო ბუჩქისაკენ
მეტის მეტად ფრთხილად ხოხვა
(დაიბლოტა გულ-მუცელი
ქვეტიანი ქვები მოხვდა)
მიცოხავს და უხარია,
რომ კურდღელი არც ინძრევა,
„ნახოს ერთი—ახ ფიქრობს:
ყვერდი როგორ შეენგრევა“.
ამ დროს, თითქოს ჯიბრზე, თავზე
იხვის ჯოგი გადაფრინდა.
ყვერდით მტრედი შემოუჯდა,
არც კაკაბი დაუშინდა,
ჯერ კიდევ, შაშვებია
და ჩხართვია ბარე სამი,
ხოხობსაც კი მოჰკრა თვალი,
აფრინდა ტყის ქათამი.
მაგრამ არც ერთს არ უყურებს
შტაჟიანი მონადირე.
ამბობს, „სხვა მე არა მინდა,
კურდღლის მოკვლა დავაპირე.
აბა კურდღელს ხომ არ გავცვლი
ან შაშვში და ან კაკაბში“.
ოცნებაში ტყავსაც აძრობს,
მოსახარშად აწყობს ქვაბში.
მიეპარა, გაჰკრა ჩახმახს,
დაიჭექა თოფმა ტყეში,
(ისეთი ხმა არ ქონია
იმ თოფს მგონი თავის დღეში).
ხედავს: მსხვერპლი შეირხა და
ქვლავ დეცა ხევ ისე.
თავ-პირ მტვრევით გაემართა
და ნადავლთან გაჩნდა მყისვე.
მიიჭრა და.. მტერის თავზე
იმის მზგავსი საქმე ავი:
კურდღლის ნაცვლად. მის წინ ეგდო
გამოხრული ვირის თავი.
მთელი დილა იმ ვირის თავს
მუცლის ხოხვით უტრიალა,
კაკაბი და ტყის ქათამი
სროლის ღირსად არ ჩასთვალა.
დაიბლოტა გულ-მუცელი,
მიახარჯა მთელი ძალა,
და.. დაბოლოს ჯილდოთ შეხვდა
გამოხრული ვირის ქალა.
მონადირეს ვაპატიოთ
ეს შემოხვევა იშვიათი.
(ზარალი ჩვენ არ გვინახავს,
მას წაოხდა ხასიათი).
მაგრამ ხშირად უწყებებში
ამის მსგავსი საქმე ხდება:
ზარალობენ. ზარალი კი
ამ ჩვენ ღარიბ ჯიბეს ხდება.
აიჩემებს ვინმე რამეს,
აზვიადებს საქმეს მეტად,
უტრიალებს. ფულებს ხარჯავს,
ალგინს თანაც გრძელ გრძელ „სმეტას“.
და როდესაც ამ საქმეზე
მიალევენ საგრძნობ თანხას,
თავში ხლიჯებს ირტყამენ და
დაალეწენ ხოლმე ხახას.
ირკვევა, რომ შესწავლილი
არ ყოფილა საქმე კარგად,
დაუფიქრათ მუშაობა
ძმა-ბიჭურად. რალა. ნარდად.
და როდესაც მუშაობის
მოელიან ხოლმე ნაყოფს,
სწორედ მაშინ, კურდღლის ნაცვლად
ვირის ქალა თავს წამოყოფს.

ხოზიკა.

წყალსადენი

ახლოვდება ზაჰესის ამუშავების დრო. ნაკადის გადაცემა დაიწყება თებერვლის ბოლო რიცხვებიდან. ამის გამო თბილისის წარმოებები შეუდგენ მზადებას ზაჰესისელექტრო-ენერგიაზე გადასასვლელად. შეძენილია საჭირო მანქანები და ყოველგვარი მოწყობილობა.

სხვა წარმოებებთან ერთად ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანილი იქნება თბილისის წყალსადენიც, რომელიც ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ენერგიის ყველაზე უფრო ძლიერი მომხმარებელი იქნება, რადგან მას ელექტრო-ნაკადი ესაჭიროება მთელი დღე და ღამის განმავლობაში.

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა თვალსაჩინოთ შეამცირებს წყალსადენის ხარჯებს. გასული საოპერაციო წლის განმავლობაში წყალსადენის მოწყობილობის შესანახავი ხარჯები უდრიდა—128.070 მანეთს; აქედან: წყალის ტურბინების შენახვა—11.520 მანეთი, დიზელების შენახვა—35.150 მანეთი ორთქლის ტურბინა—81.400 მანეთი.

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლის შემდეგ ეს ხარჯები გამოიხატება შემდეგში: წყალის ტურბინების შენახვა—14.400 მანეთი, დიზელების შენახვა—7.410 მანეთი და ელექტრო-ტუმბოს შენახვა—55.880 მანეთი; სულ წლიურად—77.690 მანეთი.

ამრიგად, ეკონომია ხარჯებში გამოიხატება 50.380 მანეთში წლიურად.

ხარჯების საერთო შემცირებასთან ერთად შემცირებული იქნება წყალის მიწოდების ხარჯებიც, დაახლოვებით 40 პროცენტამდე; ამასთან დაკავშირებით დაკლებული იქნება წყალის ტარიფიც.

წყალსადენის სადგური ზაჰესიდან ელექტრო ენერგიას მიიღებს საგანგებო კაბელით, რომელიც ზაჰესიდან გაყვანილი იქნება ავჭალის წყალსადენის სადგურამდე.

ციტრუსები

მანდარინის დამზადება აჭარისტანის მაზრებში უკვე დამთავრდა. დასრულებულია მანდარინების შეყიდვა, ხარისხებად და ყუთებში ჩალაგება. წელს დამზადებულია სულ 4 მილიონი ცალი მანდარინა, 50 ათას ცალზე მეტი ლიმონი და ფორთოხალი. დასამზადებელი კამპანიის დროს ჩაქვის, ბათომის და ქობულეთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებმა გლეხებს დაურიგეს 30 ათასი ხილის ჩასაწყობი ყუთი და 25 ათასი მანეთი ფული. ხილის ორი მეხამედი უკვე გაგზავნილია საბჭოთა კავშირის ბაზარზე,—უმთავრესად ლენინგრადსა და მოსკოვში.

მანდარინების დამზადება სწარმოებდა აგრეთვე აფხაზეთში. სოხუმის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა ამხანაგობამ დაამზადა იაპონიური ჯიშის მანდარინები სულ 300 ათასი ცალი. რომლის ღირებულება 12 ათას მანეთს უდრის. აფხაზეთიდან წელს იგზავნება სულ ხმი ვაგონი მანდარინა.

საბინაო მშენებლობა

მუშათა ახალი ტიპის სახლების პროექტის საკონკურსო კომისიაში დამტკიცებულნი არიან: შრომის სახ. კომისარი ამხ. არ. მიქაძე (თავმჯდომარე), სამოქალაქო ინჟინერი იაკუბოვიჩი. ამოქ. ინჟინერი მარტიროსოვი, ინჟინერ-ტექნოლოგი ბერიშვილი, ხელოვნების ისტორიის პროფ. ჩუბინაშვილი და მხატვარი დ. შევარდნაძე.

სათბობი მასალა

სახელმწიფო სათბობის განყოფილებამ დაიწყო კამპანია სათბობი მასალის ეკონომიის შესახებ. ამის შესახებ სათბობ მასალის განყოფ. გამგებელი გვაცნობებს შემდეგს:

საქართველოში არსებულ წარმოებებში წელს დაიხარჯა გაცილებით მეტი სათბობი მასალა, ვიდრე გასულ წლებში. ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ გაიზარდა ჩვენი წარმოებანი და მეორეს მხრივ კი დაძველდენ სათბობი მოწყობილობანი და წარმოებისათვის ხარჯავენ დიდი რაოდენობის სათბობ მასალას.

სათბობ მასალის ეკონომიის მიზნით ყველა ტრესტებთან და მსხვილ წარმოებებთან მოეწყვენ განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც ევალებათ თვალ-ყური ადევნონ სათბობი მასალის რაციონალურათ ხარჯვას. აღნიშნული კომისიების თვალყურის სადევნებლათ ს. მ. უ. საბჭოსთან უკვე მოეწყო საგანგებო თათბირი ამხ. ავაქოვის თავმჯდომარეობით.

მომავალი წლიდან ჩვენში სათბობი მასალის მომპირენეობის საქმეში დიდ როლს ითამაშებს ზაჰესის ამუშავება. თბილისის მთელი რიგი წარმოებანი გადაყვანილი იქნება ზაჰესის ენერგიაზე და ამით მივიღებთ სხვა საწვავი მასალის შესამჩნევ ეკონომიას.

მომავალი წლის განმავლობაში გარდა რკინის გზის ნაწარმოებებისა, განზრახულია საქართველოს წარმოებებზე და ტრესტებზე. ზაჰესის ენერგიის ნაწილობრივი გამოყენებით დაიხარჯოს 1.700.000 ფუთი ნავთი და 1.800.000 ფუთი ტყიბულის ქვანახშირი.

გარდა ამისა მიღებულია ზომები წარმოებებსა და ქარხნებში ძველ დადგმულობათა შესაცვლელათ. ახალი, უფრო ეკონომიური სათბობი მოწყობილობებით.

კალოშები

მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში გადაწყვეტილი იყო შემოეზიდათ ამიერ-კავკასიაში 750 ათასი წყვილი კალოში. ამ რაოდენობიდან ნახევარზე მეტი უნდა შემოზიდულიყო საოპერაციო წლის პირველ კვარტალში; მაგრამ აღნიშნული რაოდენობა ჯერ-ჯერობით შემოზიდული არ არის. ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატმა მიმართა „რეზინოტრესტს“ შემოიტანოს შემოუტანელი კალოშები ეხლავე, ხოლო მეორე კვარტალისათვის 120.000 წყვილი კალოში.

ლითონი

მომავალი წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის განმავლობაში, ა. კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს შემოზიდოს ამიერ-კავკასიაში 3.875.000 მანეთის ლითონი და მისი ნაწარმოები, აქედან ფართო ბაზრის მოთხოვნილებისათვის შემოზიდული იქნება 1.875.000 მანეთის საქონელი, ხოლო მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის კი—2 მილიონი მანეთის ლითონი.

წიგნების გამოფენა

ბელგიაში

ბელგიიდან მიღებული ცნობით, ბელგიაში არსებულ „სოციალისტურ საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებას“ გადაწყვეტილი აქვს ბელგიაში მოაწყოს საბჭოთა კავშირში დღემდე გამოცემულ წიგნების გამოფენა. საქართველოს განათლების კომისარიატმა უკვე მიიღო აღნიშნულ საზ-ბიდან თხოვნა ქართული გამოცემების გაგზავნის შესახებ. ამის გამო განათლების კომისარიატმა დაავალა სახელგამს დაამზადოს ყოველგვარი პერიოდული და არა პერიოდული გამოცემანი ბელგიაში არსებულ საბჭოთა კავშირის მეგობართა საზ-ბისათვის გასაგზავნათ.

მეთამბაქოება

სესხის განაწილება თამბაქოს პლანტატორებს შორის აფხაზეთში დამთავრდა. სულ გაცემულია 1.850.000 მანეთი სესხი. წელს აგრეთვე დარიგებულია 200.000 მანეთის საწარმოო მასალა თოკი, თავეის შაქარი, ყავარი. 1926 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადებას შეუდგებიან 1927 წლის 15 იანვრიდან ე. ი. ცოტათი უფრო გვიან, ვიდრე შარშან. გლეხებმა უკვე დაიწყეს თამბაქოს კონებათ შეკვრა.

წლევანდელი მოსავლის თამბაქოს ასორტიმენტი შარშანდელზე დაბალი ღირსების არის. მეორე ხარისხის თამბაქო შეადგენს 40 პროცენტზე მეტს. შარშან კი მეორე ხარისხის თამბაქო 33 პროცენტს შეადგენდა.

თამბაქოს დაბალი ასორტიმენტის მიზეზი არის წლევანდელი წლის წვიმიანი დარები.

იმ მიწების გამოფიტვის გამო, რომელზედაც თამბაქოს პლანტაციებია გაშენებული, აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირს განზრახვა აქვს გაანოყიეროს 400 დესეტინა. ამ მიზნისათვის მეთამბაქოეთა კავშირს აფხაზეთის აღმასკომის საზოგადოებასთან დადებული აქვს ხელშეკრულება 20 ათასი მანეთის გასანოყიერებელ მასალის შეძენის შესახებ. გასანოყიერებელი მასალა დაურიგდებათ პლანტატორებს სესხის სახით, რომელიც უნდა გაიღონ 1927 წლის თამბაქოს მოსავლით.

ძეხვის ფალსიფიკაცია

ამ უკანასკნელ ხანებში თბილისის ბაზარზე შემჩნეული იქნა ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვები.

ძეხვების ნიმუში საანალიზოდ გაიგზავნა ქიმიურ ლაბორატორიაში.

ანალიზით გამოირკვა, რომ წითელ-კანიანი ძეხვები დიდათ მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის.

ძეხვებს განზრახ აწითლებენ ქვანახშირის საღებავით, რომ წითელ კანიანი ძეხვი უფრო მოეწონოს მყიდველს.

გამორკვეულია, რომ ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვები მზადდება არა ადგილობრივ, არამედ ქუთაისში, საიდანაც შემოაქვთ გასასაღებლად.

ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვების გამოცნობა შეიძლება მით, რომ კარგი ხარისხის ძეხვებს ზედაპირზე ქონი აქვთ არა წითელი, არამედ თეთრი.

ამჟამად შეგროვებულია 2 ფუთამდე ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვები.

აბრეშუმის პარკი

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, წელს გადაწყვეტილი იყო 231.000 ფუთი ნედლი აბრეშუმის პარკის დამზადება მთელს ა.-კავკასიაში. ფაქტიურად კი მიმდინარე საოპერაციო წელში დამზადდა მხოლოდ 204.000 ფუთი აბრეშუმის პარკი.

წელს მხოლოდ 60 პროცენტით შესრულდა დამზადების გეგმა. აქ დამზადდა 60.000 ფუთი აბრეშუმის პარკი.

სომხეთში გადაწყვეტილი იყო 6.000 ფუთი აბრეშუმის პარკის დამზადება. მაგრამ წელს მხოლოდ 2.400 ფუთი დამზადდა.

საქართველოში წელს დამზადდა 140.000 ფუთი აბრეშუმის პარკი, ე. ი. 15.000 ფუთით მეტი, ვინემ გათვალისწინებული იყო.

ვაჭრობა აღმოსავლეთთან

ა.-კ. საბაჟოს ცნობით, ნოემბერში, აღმოსავლეთ ქვეყნებთან ვაჭრობა წარმატებით სწარმოებდა; საბაჟოს საშუალებით ამ თვის განმავლობაში აღმოსავლეთში გაზიდულა 3.486.500 მანეთის საქონელი. მათ შორის. სპარსეთში გაიზიდა 3.289.400 მანეთის საქონელი, ხოლო ოსმალეთში — 197.100 მანეთისა.

სპარსეთში უმთავრესად გაზიდულა შემდეგი საქონელი: შაქარი—992.600 მან. ფქვილი—26.000 მან., ხე-ტყის მასალა — 85.300 მან, ნავთის პროდუქტი — 794.200 მან. და საბჭოთა კავშირის მრეწველობის ფაბრიკატები — 1.181.800 მან. ოსმალეთში კი გაიზიდა: ნავთის პროდუქტი — 142.900 მან. და საბჭოთა კავშირის მრეწველობის ფაბრიკატები — 43.300 მანეთის.

აღნიშნულ საქონელში შედის აგრეთვე ა.-კავკასიის სამრეწველო საგნებიც დაახლოვებით 1.049.000 მან.

ტყავის მრეწველობა

ტყავ-ტრესტის გამგეობამ დაადგინა შეიტანოს მთელი რიგი გაუმჯობესებანი ტყავეულობის წარმოების საქმეში. ამ მიზნით ტყავეულობის წარმოების შესასწავლად სწარმოებს შესაფერი მუშაობა და დასამუშავებელი მასალების გამოძებნა.

მომავალი წლიდან განზრახულია შემოღებულ იქნეს ხმარებაში ძვირფასი ტყავეულობის დასამზადებელი, ე. წ. ტეხნიკური ქონი, რომელიც კეთდება ნავთის ნედლი პროდუქტისაგან. მომავალი წლიდან საქართველოს ტყავეულობის მრეწველობის ტრესტს გამოთხოვილი აქვს 2.500 კილოგრამი ტეხნიკური ქონი, რომელიც ტრესტს უნდა მიაწოდოს სახ. სათბობის განყოფილებამ.

ცაკის პრეზიდიუმში

ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მიერ ცაკთან დაარსებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობის საქმეების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. მირზა დაუთ გუსეინოვი (კომისიის თავმჯდომარე), თურქ მოსახლეობისაგან, 2. აშოთ ხუმარიანი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, — სომეხ მოსახლეობისაგან., 3. ვასილ ვასილის - ძე ბოგდანოვი, რუს მოსახლეობისაგან. 4. ილია თომას-ძე დიმოევი, ბერძენ მოსახლეობისაგან., 5. გერშონ ბიჭიას-ძე ზონინაშვილი, ქართველ ებრაელ მოსახლეობისაგან., 6. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე რამრაზოვი, ასირიელ მოსახლეობისაგან., 7. რიზა ნაჯაფოვი, თურქ მოსახლეობისაგან.. 8. პაშა აგას-ძე იასბეკოვი, ქურთ მოსახლეობისაგან, 9. ალბერტი გაბრიელისძე-ძე ცეებ, გერმანელ მოსახლეობისაგან, 10. ჩანბა (აფხაზეთის წარმომადგენელი კომისიაში), 11. ალექსანდრე აგაევი (სამხრეთ - ოსეთის წარმომადგენელი კომისიაში).

ტყეჩის ქარხანა

ბორჯომში

საუბარი პროფ. როდინთან

თბილისში ამჟამად იმყოფება მოსკოვის სატყეო ინსტიტუტის პროფესორი ტ. როდინი. რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ტყეჩის ქარხნის აგება-მოწყობას ბორჯომში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში პროფ. როდინმა განაცხადა შემდეგი:

— ქარხნის მთელი მოწყობილობა შეკვეთილი იყო საზღვარგარეთ—დანიაში, შვეციაში. ნორვეგიაში და გერმანიაში. ქარხანა მოწყობილი იქნება სატყეო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ყველა მანქანები და დაზგები უკანასკნელი გაუმჯობესებული კონსტრუქციისაა.

ბორჯომის ტყეჩის ქარხანა ერთ-ერთია მთელს საბჭოთა კავშირში. მთელი წარმოება მექანიზაციაქმნილია. ნარჩენების გამოყენებაც ტექნიკური წესით იწარმოებს.

ქარხანა ტყეჩებს დაამზადებს საექსპორტო, კარაქის და ერბოს ყუთებისათვის. ბორჯომის ქარხნის პროდუქცია გაიგზავნება, უმთავრესად, ციმბირში იქაური კარაქ-ერბოს მრეწველობის საჭიროებისათვის.

აქამდე ტყეჩები საბჭოთა კავშირში სრულიად არ მზადდებოდა. ტყეჩები მოდიოდა და ის ეხლაც მოდის დანიიდან და გერმანიიდან 1500000 კომპლექტის რაოდენობით ყოველწლიურად.

ქარხანა შენდება საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გადადებულ თანხებით.

ქარხნის ხაყოფიერება იქნება 600.000 კომპლექტი წელიწადში. ბორჯომის ქარხანა ერთ-ერთი ძლიერისი ქარხანაა საზღვარგარეთის ქარხნებთან შედარებითაც კი.

სხვათა შორის ამ ქარხნით მეტად დაინტერესებული არიან ნასაზღვარგარეთ, უმთავრესად გერმანიაში, დანიაში და ნორვეგიაში. საზღვარგარეთ ყოფნის დროს მე წინადადება მომიცეს იქაური მრეწველებმა მოვაწყო ასეთივე ქარხანა იქ. ბორჯომის ქარხანა პირველია, რომელიც იწყობა ჩემი სისტემით.

ქარხანაში იმუშავებს 150 მუშა. ქარხნის ოფიციალური გახსნა მოხდება 25 თებერვალს.

სწავლის ფული

განათლების კომისარიატის დამატებითი დადგენილებით, სწავლის ფულის გადასახდისაგან თავისუფლდებიან ის ბავშვები, რომელთაც მამა არა ჰყავთ, ან უმუშევარი ჰყავთ და მყოფებიან მხოლოდ მასწავლებელ დედების მაყოფაზე. ხოლო ის ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ სამუშაოზე მყოფი მამა, იხდიან სწავლის ფულს მამის ჯამაგირის მიხედვით, მიუხედავად მისა, დედა მათი ეწევა მასწავლებლობას, თუ არა.

კრედიტები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, სულდის სასოფლო-სამეურნეო კომუნისათვის, საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა 1.000 მანეთის კრედიტი 3 წლის ვადით ჯიშიან საქონლის შესაძენად.

გარდა ამისა, საქართველოს ბანკს გაეხსნა კრედიტი—4000 მანეთის რაოდენობით 7 წლის ვადით აბრეშუმის თესლის შესაძენათ.

საავადმყოფოები

ჯანსახკომმა გამოიმუშავა საავადმყოფოების ქსელის გაფართოების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომლის თანახმადაც ამჟამად არსებული სასოფლო, სარაიონო და სამაზრო საავადმყოფოების რიცხვი 94-დან გაიზრდება 523-მდე.

1926 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში მოქმედობდა 68 საავადმყოფო. თითო საავადმყოფოზე ამჟამად მოდის 37.037 მოქალაქე.

ფსიქიატრიული საავადმყოფო ეხლა არსებობს მთელ რესპუბლიკაში ერთი 305 საწოლით: 1931 წელს გახსნილ იქნება 5 საავადმყოფო 1010 საწოლით.

სამალარიო სადგურები ამჟამად არის ერთი 30 საწოლით. 5 წლის შემდეგ იქნება 32—400 საწოლით. ამ საავადმყოფოზე ეხლა მოდის 2.518.400 მოქალაქე, მაშინ კი მოვა 91.237 კაცი.

ამჟამად რესპუბლიკაში გახსნილია 51 აბანო. თითოზე მოდის 49.381 მოსახლე. 5 წლის შემდეგ გახსნილ იქნება 101 აბანო.

აღნიშნული ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა უკვე დამტკიცებულია და ჩქარა დაიწყება გეგმის შესასრულებლად შესაფერი მუშაობა.

ავადმყოფების

გადმოყვანა

ვინაიდან ხშირია შემთხვევა, რომ ჯანმრთელობის კომისარიატის ორგანოები მაზრებიდან თბილისში გზავნიან ვენერიულ სნეულებით დაავადებულებს კლინიკაში მოსათავსებლად. ამავე დროს, თბილისის ვენერიულ კლინიკაში უადგილობის ავადმყოფია მოთავსებული, რის გამოც უმთავრეს შემთხვევაში შეუძლებელი ხდება პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფების მიღება. ჩამოსული ავადმყოფი ვარდება გამოუვალ მდგომარეობაში. ამიტომ ჯანმრთელობის კომისარიატმა ჯანმრთელობის სამაზრო განყოფილებებს და ორგანოებს მისცა ცირკულიარული წინადადება. რომ ავადმყოფების გამოგზავნის შესახებ წინასწარ აცნობონ ჯანმრთელობის კომისარიატს და მხოლოდ დადებითი პასუხის მიღების შემდეგ გამოგზავნონ ავადმყოფები.

სამხედრო გზატკეცილი

ოსეთში

ოსეთის სამხედრო გზატკეცილის 82—85 ვერსზე დასრულდა ახალი შემოსავლელი გზატკეცილის გაყვანა, რომელიც იკისრა ადგილობრივმა გლეხობამ საგზაო ბეგარის წესით. ჯიოჯერომით გზატკეცილის ახალი უბანი დატკეცილი არ არის და არც საჭირო ხიდებია აგებული, რადგან საამისო თანხები ადგილობრივ ოლქობას არ მიუღია. შემოსავლელი გზის გაყვანა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სოფელ ჯავთან 2 ვერსის სიგრძეზე გზა სრულიად გაფუჭებული იყო.

რკინისგზებზე

გზებზე ნაციონალიზაციის ჩასატარებლად

ამიერ-კავკასიის გზებზე ნაციონალიზაციის ჩამტარებელ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ჩხეიძის მოხსენება.

კომისიამ დაადგინა გადასდოს 20.000 მანეთი მუშაობის გასაძლიერებლად და ნაციონალურ ენებზე ინსტრუქციების სახელმძღვანელოების გადასათარგმნად.

პირველ რიგში დამთავრდება იმ ინსტრუქციების თარგმნა, რომლებიც ეხებიან მოძრაობაში საშიშროების თავიდან აცილებას.

ამასთანავე კომისიამ დაადგინა გააძლიეროს მუშაობა ნაციონალურ ენებზე სახელმძღვანელოების და გამოცემების (ბრძანებები და სხვა) გადასათარგმნად.

რონოდის ჩავარდნა

17 დეკემბერს სადგურ ახალ-სენაკში მატარებლის მიმოხრონების დროს, მეისრე ბასილაიას ბრალით ისრის გადაყვანის გამო ლიანდაგს ძსცდა ორთქლმავალი. სამტრედიიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი და ორთქლმავალი ამოიღეს 2 საათში.

ორთქლმავლის ჩავარდნის გამო, დაიკეტა პირველი სადგურის ხაზი.

ქრონიკა

4.000.000 მან. მეთამბაქოებისათვის

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა (ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა დააკმაყოფილონ აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკის თხოვნა აფხაზეთის მეთამბაქოე პლანტატორებისათვის 4 მილიონი მანეთის სესხის მიცემის შესახებ.

ინგლისის მემაღაროეთა დახმარების ფონდი

ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოდ საქართველოს პროფსაბჭოს მიერ კამპანიის დაწყებიდან 15 დეკემბრამდე შეკრებილია 137.440 მანეთი.

მისასალმებელი დეპეშა დაღესტნიდან

სახალხო განათლების კომისარიატმა დაღესტნიდან (კიზლარი) ადგილობრივ მცხოვრები ქართველებისაგან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: „ქართულ სოფელში სკოლის გახსნის საქმეში თქვენი მხურვალე მონაწილეობისა და დახმარების გამო, დაღესტანში მცხოვრები ქართველები გიძღვნიან გულწრფელ სალამს და იმედოვნებენ, რომ თქვენს მფარველობას შემდეგშიაც არ მოაკლებთ „ქართულ სოფელში“ ახლად გახსნილ სკოლას.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ კოლხელშეკრულება. შრომის დავის განყოფილება 29 დეკემბერს შეუდგება მუშკოოპთან კოლხელშეკრულების დადებას.

◆ გამოკვლევა. კომისარიატმა დაამთავრა ხონის და თელავის აბრეშუმის სახვევ-სართავ ქარხნების გამოკვლევა.

◆ შრომის და ხოცდაზღვევის მუზეუმთან ეწყობა საწარმოო განყოფილება. საჭირო იარაღ-მანქანებს იძლევა უმაღლესი სამეურნეო საბჭო.

◆ შრომის კოლექტივებში მომუშავეთა 5 პროც. ამ ჟამად შეადგენს მოზარდი უწლოვანები.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ კურორტოლოგიის კათედრის უფროს ასისტენტად სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ დაამტკიცა ივანე კონიაშვილი.

◆ დაწესებულებებსა და წარმოებებში მოზარდ სპეციალისტების შეილების, განსახკომის დადგენილებით, მომავალ სასწავ. წლიდან სკოლებში მიღების დროს გათანასწორებული იქნებიან მუშების შვილებთან.

◆ თერგის ოლქში მცხოვრებ ქართველებისათვის ლიტერატურის გასაგზავნათ განსახკომმა გადასდო 200 მან.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ აბრეშუმ შიის თესლის დასამზადებლად ა.-კ. სას.-სამ ბანკმა საქართველოს ბანკს გადასცა 40 ათასი მანეთი.

◆ განჯის საკრედიტო ამხანაგობებისათვის ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა აზერბეიჯანის ცაკს გადასცა 40 ათასი მანეთი.

◆ „ხულდის კომუნა“-სათვის საქ. სას.-სამეურნეო ბანკმა გადასდო 4 ათასი მანეთი.

◆ სპირტი. სახ. სპირტის ტრესტმა ველისციხის საკრედიტო ამხ-ბას დაავალა ტრესტისათვის დაამზადოს ნახევარი მილიონი გრადუსი სპირტი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ სამალარიო ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო 25 დეკემბერს, გადაიდო გამოუკვლეველ დროისათვის.

◆ რეორგანიზაცია. ჯანსახკომმა ჯადასწყვიტა მოახდინოს სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტის რეორგანიზაცია.

◆ ქუნთრუშა. ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ ადგილებიდან მიღებული ცნობებით ქუნთრუშას არსად არ მიუღია ეპიდემიური და ამოში ხასიათი.

სხვადასხვა

◆ საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. კვირას დანიშნული მოხსენება არ შედგება სასოფლო - სამეურნეო საზოგადოებაში მოხსენების გამო (ყ. ბარიატინის ქ. № 5, დილის 11 საათზე), ინჟინერ - ტეხნიკოსები საჭიროა იქ გამოცხადდნენ.

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს გაიმართება კინო-ლექცია. შემდეგ ნაჩვენები იქნება სურათები იაპონიის, ჩინეთის და ინდოეთის ცხოვრებიდან. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“. სახელგამმა მიიღო სახელგამის გამოცემული ახალი წიგნი „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“—ქ. [illegible].

შემთხვევები

ავანტიურისტის დაპატიმრება

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ბუიანოვი ირიცხებოდა მოსკოვ-ყაზანის რკინის-გზის არზამასკელის სადგურის მოლარედ.

ბუიანოვმა მოვალეობის ასრულების დროს გადაიტანა დიდძალი სახაზინო ფულები და მიიმალა.

ბუიანოვი მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და ატარებდა სტეფანოვის, მიხაილოვის და კოლოკოლცევის გვარს.

ბოლოს ის თბილისს ესტუმრა. ცხოვრობდა სასტუმრო „პალასში“—კოლოკოლცევის გვარით.

ბუიანოვი ეწყოდა ხელგაშლილ ცხოვრებას და მთელ დღეებს ქეიფში ატარებდა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ ბუიანოვი დააპატიმრა.

დაპატიმრებისას მას აღმოაჩნდა 400 მანეთი.

სახელგამის მაღაზიის გაქურდვის გამო

ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთაველის პროსპექტზე გაქურდეს სახელგამის მაღაზია, შეეხება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებას.

◆ გაძარცვა. 17 დეკ. სეითლუღის და ვაზიანის შუა 3 შეიარაღებულმა ყაჩაღმა გაძარცვა 25 მეურმე გლეხი.

◆ ცეცხლი. 17 დეკ. რეუტოვის ქ. № [illegible] მოქ. რაბინოვიჩის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ თავდასხმა. 17 დეკემბერს სოღანლუღის გზაზე თავს დაესხნენ და გაძარცვეს მეურმე გლეხი თედორე ბატურინი.

◆ „მძორ კავშირში“. 17 დეკ. გაქურდეს უბნის სარდაფი „მძორე კავშირი“.

◆ ამავე დღეს იურიევის ქ. № 39 გაქურდეს ივანე ხუჭუაშვილის ბინა.

ხელოვნება

„ინტერესთა თამაში“—კომ. 3 მოქ. ხოსინტო ბენევენტესი, თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის, დადგმა კ. მარჯანიშვილის

კომედიის ავტორი ცნობილი თანამედროვე ესპანელი დრამატურგი და პოეტია. მან უკვე გამოსცა 18 თავისი ნაწარმოები.

„ინტერესთა თამაში“ მისი ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია, დაჯილდოვებული ნობელის პრემიით. ეს ძველებური ფარსის ნატეხი, როგორც მას ავტორი ახასიათებს კომედიის პროლოგში, კომედიის ისტორიული ჩანაწყვეტი, ინტრიგის ბუნებრივი განვითარებით, პერსონაჟების რეალისტიური მოხატვით, და ენამახვილიანობით არ ჩამოუვარდება მსოფლიო კომედიოგრაფიის შედევრებს.

მომქმედ პირთა მდგომარეობა, მათი მსგავსი და საქციელი ჯანმრთელი, დაუშლავი კომიზმით კომედია დელ-არტის რეპერტუარიდან ნასესხებია მხოლოდ მსუბუქი უდარდელი განწყობილება და ტრადიციული შაბლონური პერსონაჟი, არლეკინის, კოლომბინის, პოლიშინელის და სხ.

ამ ლიტერატურული შინაარსი სამძიმოა კიდევ ასეთი მსუბუქი განწყობილების კომედიისათვის და ეს მხიარული მოცეკვავე ტონი პიესის კიდევ უფრო შემამსუბუქებელია დადგმაში; სიმძიმის ცენტრი აქ გადატანილია სპექტაკლის სანახაობრივ მხარეში. კომედია გასცენიურებულია ლეკის და გოცის თეატრის ვირტუოზობით, დაუდეგარ და მხატვრულ, დაუდეგარ ფანტასტიკით. რეჟისორის მთავარი ყურადღება მიეპყრო ავტორის თხოვნისათვის, რომ დამდგმელი და მაყურებელი ერთის წუთით გადაიდეს კომედიის ბავშვურ განწყობილებაში. ამ განწყობილებასთან შეფარდებულია მხატვრულ მოხაზვის გულმოდგინეობით გადმოცემული კარიკატური ქუჩა-სახლები, თოდინების კომედიის შესაფერი ტიკინების მოწყობილობა: ტახტი, ბალიშები, ფარდა. შემდეგ ასეთივე დაუზოგავი შარჟი—კრისპინის და ლეანდრის წინააღმდეგ შედგენილი საქმე-ბიბლიოთეკა.

ამ სცენის უმთავრესი მიმზიდველი ძალა იყო არა სპექტაკლის გარეგნული სანახაობრივი, სათვალსეირო მხარე; მართლაც რა დიდი უნდა ყოფილიყო ისეთი დადგმების სცენიური ეფექტი, რომლის მთელი მოწყობილობა მოხეტიალე ფარსთა ერთ ურემზე თავისუფლად თავსდებოდა; სპექტაკლის ინდივიდუალურ-პლასტიკური ელემენტი, გაწვრთნილი ვირთხების ბალეტი, ქასწავლ თუთიყუშის და ძაღლის ფოკუსები, ქუჩური ეს ფონი იყო იმ არაჩვეულებრივ ფიზიკურ მოძრაობისათვის, თეატრულმაგვე ჯამბაზის მოძრაობისათვის, რომელშიდაც იშლებოდა ემმაციმად და მაიმუნებით მორთულ შეხმობია თამაში.

ძველ სცენის აღდგენასთან ერთად ამ დადგმაში თითქმის [illegible] ხურთა თამაშის ტეხნიკა; ეს პლასტიური მოძრაობა მოძრაობა, დეკლამაციურ-მუსიკალური ინტონაცია სპექტაკლის მიზნობრივად ხდის დამოუკიდებლად კომედიის სიუჟეტის განვითარებისა.

შემსრულებლებში განსაკუთრებით გამოიყურებიან ვასაძე (კრისპინი) თავის პლასტიურ მოძრაობით და კოლორიტულ ინტონაციით, განსაკუთრებით კარგია პროლოგი. შარჟიანი დამახასიათებელ სცენიურ სახეებს ქმნიან დოქტორი (დ. მ. ნ. გოცირიძე) და მისი მდივანი (ს. ღოღოლიანი). კარგადაა გაგებული სანტიმენტალურ-კეთილშობილური. რილი ლეანდრის (მევეია); ფერდოვანი დამახასიათებელია ახები მეკიტანის (კორიშელი) და მსახურების პანტალოსის (ქანთარია); არაჩვეულებრივ არგია დონა სირენა (თაითმერელი); მშვენიერია კოლომბინა (თაყაიშვილი) და სილვი (ჯორჯაძე).

აღსანიშნავია თარგმანის მხატვრული ენა.

მხედი.

მუშათა თეატრის ქართული დასი

ქართულ დრამის სეზონი მუშათა თეატრში იხსნება 26 დეკემბერს პროკოფიევის პიესით „პარიზი“-თ (სილვის დასჯა).

დასის შემადგენლობა: რესპ. სახ. მსახიობი ბ. ხოცირიძე, სახ. მსახ. 6 .ჩხეიძე, დამსახ. მსახ ე. აბაშიძე (მონაწილეობას მიიღებენ დროგამოშვებით) მუდმივად იმუშავებენ შემდეგი მსახიობნი: ქალები: ვერიკო ანჯაფარიძე, ან. ქიქოძე, ე. ციმაკურიძე, ნინუ მაჭავარიანი, ცეცილია წუწუნავა, ა. დოლიძე, ო. კიკნაძე. მ ირჩნელი, ქ. ჩილამშვილი, მედეა გორელი; ვაჟები: ა. იმედაშვილი, მ. გელოვანი, ბ. გაბრიელი, კ. ხინთიბიძე, გ. მელიავა, ა. ყიასაშვილი, ა. ჭუმბურიძე, ი. გვინჩიძე, გ. ილურიძე, ე. სიხარულიძე, ტ. გაგუა, გ. ჯაბაური, გ. აბაშვილი და თანამშრომლები.

რეჟისორებათ მოწვეულნი არიან: მიხ. ქორელი და გარრიკი. ცალკე დადგმები ექნებათ კოტე მარჯანიშვილს და ალ. წუწუნავას.

რეპერტუარი შესდგება შემდეგ ახალ პიესებიდან: „პარიზი“ პროკოფიევის, „მადლობა“ ნ. შიუკაშვილის, „წმინდა ქური“ ინსცენ. ბატარშიევის, „დონ-ჟუანი“ მოლიერის, „[illegible]“ ბრანდესონის, „1881 წელი“ შაპოვალენკოს და სხვ.

სამხატვრო ნაწილს განაგებს მიხ. ქორელი. წარმოდგენები გაიმართება კვირაში ორჯელ. ყოველი დადგმა გადატანილი იქნება მუშათა უბნებში.

მხატვარ იაკულოვის მოწვევა

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ მხატვარ იაკულოვთან მის მისაწვევად სახკინპრეწვში.

განზრახულია იაკულოვს დაევალოს კინოსურათ „ამირანი“-ს დეკორაციების და მაკეტების დამზადება.

იაკულოვთან მოლაპარაკებას აწარმოებს აგრეთვე თბილისის მუშათა თეატრი. ქართულ სახელმწიფო დრამასაც განზრახვა აქვს იაკულოვი მოიწვიოს ერთი დადგმისათვის.

იაკულოვი უკანასკნელი დროის განმავლობაში მუშაობდა მოსკოვის „კამერულ“ თეატრში.

„იღრიალე ჩინეთო“

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაავალა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს მიიღონ ზომები, რათა საკავშირო მასას საშუალება მიეცეს დაესწროს პიესა „იღრიალე ჩინეთო“-ს წარმოდგენას, ვინაიდან ამ პიესას მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

შეღავათიანი ბილეთები

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების წინაშე კვლავ წამოიჭრა საკითხი შეღავათიანი ბილეთების შემოღების შესახებ სოპერო თეატრში.

კულტგანყოფილებასთან შემდგარმა კულტთათბირმა მუშებისათვის სოპერო თეატრში წარმოდგენების გამართვა მისაღებად ჩასთვალა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშებს პერსონალურად მიეცემათ შეღავათი ბილეთის ფასზე (40—60 პროც.) საკავშირო საწევრო პლეთის წარდგენით, როგორც ეს შემოღებულია საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქებში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ცნობილ მხატვარის ლანსერეს სურათების გამოფენა გაიხსნება დღეს ერევანში.

◆ პროლეტარულ სომეხ მწერალთა კონფერენცია გაიმართება 21 დეკემბერს სომხეთში.

◆ ცირკის გახსნა. დღის მოადება ძმ. ტანუების ცირკის საზეიმო გახსნა.

◆ მიხალკოვის კონცერტი. დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მიხალკოვის კონცერტი.

◆ კინო ბავშვებისათვის. დღის კინო „არფასტომში“ ეწყობა საბავშვო სურათების ჩვენება. დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ „საყვარელის თვალები“. კინო „პალასში“ ამ ჟამად მიდის კინო-რომანი: „საყვარლის თვალები“.

◆ მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ზოიას ბინა“.

◆ „მზის დაბნელება“. რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება: „მზის დაბნელება“.

◆ „მაზეპა“. დღის ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „მაზეპა“.

◆ ხელოვანთა სახახლეში კვირას 19 დეკ. სღ. 6 საათზე. ამხ. ნოე ზომლეთელი გააკეთებს მოხსენებას პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრთა შორის—საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის უკანასკნელი პლენუმის შესახებ.

◆ პროლეტ. მწერალთა შორის, კვირას დღის 2 საათზე, მოწვეულია საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის საერთო კომისიის სხდომა. უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. დ. რონდელი, ს. ფილორსი ტიცი, კ. კალაძე, ნ. ასლამაზიშვილი და მაგერა.

◆ სახელოვნო საბჭოს სხდომა. ორშაბათს 20 დეკემბერს, ხელოვნების სასახლეში (ივ. მაჩაბელის ქ. № 13) საღამოს 7 საათ. დანიშნულია მთავარ სახელოვნო საბჭოს მეორე სხდომა. დღის წესრიგშია: 1) მოხსენება სამხატვრო აკადემიის რექტორის პროფ. ჩუბინაშვილის „სახვითი ხელოვნება და სამხატვრო აკადემიის ამოცანების შესახებ“, 2) მოხსენება კონსერვატორიის პრორექტორის ლ. ქუთათელაძის „სახელმწიფო კონსერვატორიის შესახებ“. 3) ინფორმაცია ამხ. ბუხნიკაშვილის „ჟურნალ საბჭოთა ხელოვნების შესახებ“ და 4) მიმდინარე საკითხები. დასწრება საბჭოს წევრებისა სავალდებულოა.

◆ სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისათვის სამშაბათს 21 დეკემბერს საღ. 8 საათზე ქიმი ასპისოვი წაიკითხავს ლექციას ყელის შესახებ.

◆ პირველი სიმფონიური კონცერტი. პარასკევს. 24 დეკემბერს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება 1-ლი სიმფონიური კონცერტი ა. ეიხენვალდის ხელმძღვანელობით.

◆ „სამსონ და დალილა“. ამჟამად სახელმწიფო ოპერის თეატრი ამზადებს სენ-სანის ოპერას „სამსონ და დალილა“. იხატება ახალი დეკორაციები, იკერება ახალი კოსტიუმები. ოპერას სდგამს ა. ეიხენვალდი. ოპერის მუსიკალურ დადგმა მინდობილი აქვს სახალხო არტისტს ივ. ფალიაშვილს. პარტიები განაწილებულია ოპერის საუკეთესო ძალებს შორის.

◆ ოპერა „ბოკაჩიო“. „სამსონსა და დალილას“ შემდეგ მორიგი პრემიერა იქნება კომიკური ოპერა „ბოკაჩიო“, რომელსაც სდგამს კ. მარჯანიშვილი.

რადიო

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს თბილისის და სამაზრო ცენტრების მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში მოაწყოს რადიო-მიმღები ქსელი. ამ მიზნით უკვე შეკვეთილია საჭირო აპარატები და მოწყობილობა.

ეს აპარატები მუშათა კლუბებს ეძლევათ ნისიათ. ღირებულების 25 პროც. შეტანილი უნდა იქნეს ამ თვეშივე, დარჩენილი თანხა კი შეიძლება გასტუმრებული იქნეს ექვსი თვის განმავლობაში. რაც შეეხება ანძებს, მათი საფასური—130 მანეთი შეტანილი უნდა იქნეს სრულად.

კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და სამაზრო პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ თავიანთ ხარჯ-აღრიცხვებში შეიტანონ ხარჯები რადიო-საქმისათვის.

ჭადრაკი

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან შესდგა კულტთათბირი, რომელმაც აუცილებელ საჭიროებათ მიიჩნია ჭადრაკის შინა-საკავშირო შეჯიბრების ჩატარება. დაწესებული იქნება მუდმივი და გარდამავალი ჯილდოები. კავშირებს შორის შეჯიბრებებისათვის დაწესდება გარდამავალი ჯილდო.

მოჭადრაკეთა შეჯიბრი გატარებული იქნება შიდასაკავშირო წესით. საჭიროდ იქნა აღიარებული აგრეთვე კავშირების ცენტრალურ გამგეობებთან ჭადრაკი სექციების დაარსება.

კავშირთაშორისო გამომუშავებული იქნება შეჯიბრების საერთო წესი. ამ საქმის მოსაგვარებლად გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შედიან თითო წარმომადგენელი საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა, რკინისგზელთა და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირებიდან.

სასამართლო

ოჯახური ტრაგედია

(მ. თვალაძის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებულის ცოლი ვერა.

მოწმე აღნიშნავს, რომ პირველ ხანებში მათ შორის ცუდი განწყობილება იყო. ამ გარემოებას ხსნის იმით, რომ იმ ხანებში მას ქმარი არ უყვარდა.

დასასრულ მოწმემ განაცხადა:

— მე დამნაშავე ვარ ქმრის წინაშე. მე საბაბს ვაძლევდი ჩემ ქმარს ეჭვიანობა დაეწყო ჩემზე. მაგრამ ყოველივე შემდგომთ მომხდარ ის ფაქტი, რომ ბრალდებულთან ამჟამად მშვიდობიან ცხოვრებას განვაგრძობ, ნათელყოფს იმას, რომ მე გამოვასწორე ძველი შეცდომები...

მოწმეების დაკითხვიდან საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბრალდებულს ცოლი უყვარდა და არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა იგი.

გუშინ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა. ექსპერტების დასკვნით ბრალდებული თვალაძე შეპყრობილია ნერვიული ავათმყოფობით.

მხარეთა კამათის შემდეგ სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

გუშინ, საღამოს 7 საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებული პირი თავისი ცოლის დაჭრა მოკვლის მიზნით ჩადენილია არა წინასწარი განზრახვით, არამედ სულიერი მღელვარების დროს, რისთვისაც მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებული თვალაძე არის მუშა, შრომის ჩამოშალეს არ მოჰყოლია მძიმე შედეგი და ისიც, რომ ამჟამად ის განაგრძობს ცოლთან მშვიდობიან ცხოვრებას, სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა სამი წელი.

უსაფუძვლო ეჭვი

ივანე ხატიევი რამოდენიმე წლის განმავლობაში თავის ცოლთან კარგს განწყობილებაში იყო. ბოლო ხანებში ხატიევს ეჭვიანობა დაუწყო ცოლზე და ამ ნიადაგზე კიდევაც გაეყარა.

გავიდა ხანი. ხატიევი კვლავ განაგრძობს ყოფილ ცოლთან ცხოვრებას.

ხატიევის ბინაში სცხოვრობდა ახალგაზრდა მეზობელი მეშჩე ჯონ-ოღლი.

ხატიევი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ჯინ-ოღლი მის ცოლს ეარშიყებოდა. ეჭვები კი კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა თავის ცოლს ჯამეშე ჯონ-ოღლისაგან ნაჩუქარი წიგნი უნახა.

ერთ დღეს ხატიევმა მიმართა ქალს თხოვნით, უთხრა მისთვის სიმართლე — ეარშიყება თუ არა მას ჯინ-ოღლი. ქალმა ამაზე პასუხი არ გასცა. ამ დროს ხატიევმა უწმაწური სიტყვებით აგინა ჯინ-ოღლი.

გინება ჯინ-ოღლის ესმოდა თავის ოთახში. ამ ლაპარაკის შემდეგ ვიღაც უცნობმა კაცმა დაუწყო კაკუნი ჯინ-ოღლის ბინის. უკანასკნელმა იფიქრა, რომ ხატიევის ხრიკებით არის ის მოწყობილი და იმ დროს, როცა უცნობს კარები უნდა შეეტეხა, ჯინ-ოღლი დაშინდა და სახლის მეორე სართულის ფანჯარიდან გადახტა. გადახტომის დროს მოიტეხა ხელი.

მომხდარ ამბის შესახებ ჯინ-ოღლი განაცხადა კომისარიატში.

ხატიევმა მილიციელს არ გაჰყვა კომისარიატში და შეურაცხყოფა მიაყენა.

ოთხი დღის შემდეგ ხატიევი დააპატიმრეს.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით გაირჩა ხატიევის საქმე.

სასამართლომ ხატიევი დამნაშავეთ სცნო მხოლოდ მილიციელის შეურაცხყოფასა და წინააღმდეგობის გაწევაში, რისთვისაც მიუსაჯა სამი თვით გამასახლში დაპატიმრება.

მხეცი—კაცი

გუშინ ალმოსავლეთ საქართველოს ოლქის სამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების: ჯოჯიას და ხუციშვილის მონაწილეობით გაირჩა ალექსანდრე გრიგოლის ძე კანტაკუზინის საქმე.

კანტაკუზინს ბრალდებოდა თავისი ქალიშვილის 6-ს გაუპატიურება.

სასამართლოში გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული კანტაკუზინი, 55 წლისა ამა წლის 11 ოქტომბერს, შეზარხოშებული მივიდა სახლში და ძალდატანებით გააუპატიურა 21 წლის ქალიშვილი 6-ი.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავეთ.

სასამართლომ კანტაკუზინს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

50.138 მანეთის ზარალი

(საყვარელიძის და კონტენკოს საქმე)

გუშინდელ სხდომაზე პირველად დაკითხულ იქნა მოწმე პეველი (თამბაქოს ტრესტის მმართველი).

მოწმე აღნიშნავს, რომ თამბაქოს ტრესტს საჯაროდ ხელშეკრულება ჰქონდა დადებული თბილისის სახელმწიფო საშუამავლო კანტორასთან პაპიროსების რეალიზაციის შესახებ. ამხ. „ძმობა“-სთან ტრესტს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. ხელშეკრულების დარღვევისას პასუხისმგებელი იყო არა ამხ. „ძმობა“, არამედ საშუამავლო კანტორა.

მოწმე აღნიშნავს, რომ ტრესტის ბუხჰალტერიას მოუვიდა შეცდომა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ მიმდინარე ანგარიშები გახსნილ იყო არა სახელმწიფო საშუამავლო კანტორის. არამედ ამხ. „ძმობა“-ს სახელზე.

მიხეილ საყვარელიძის საქონელი ნისიად მიცა მისმა მოადგილემ ჭუმბურიძემ და პასუხისმგებლობა მან იდვა თავის-თავზე.

მოწმე ჭუმბურიძე (თამბაქოს ტრესტის გამგ. მოადგილე) აღნიშნავს, რომ 1924 წ. ტაპიოკისეასათვის თარიღ ბაზრის მოპოვების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა ცნობილი კოოპერაციონარიანობის პირთათვის საქონლის ნისიათ მიცემა. ამ მოსაზრებით ჭაუხსნეს კრედიტი გრიშოლ და მიხეილ საყვარელიძეს.

მოწმე ხოჯამიროვი (ბაქოს თამბაქოს ტრესტის რწმუნებული) მოუთხრობს სასამართლოს. რომ 1924 წ. მაისში გრიგოლ საყვარელიძე მიიდა მასთან და სთხოვა დახმარებოდა პაპიროსების გასაღებაში. ისინი შეთანხმდნენ. მოწმეს უნდა შეესრულებინა ხაკომისიო როლი. საქონელში ხოჯამიროვს უნდა მიეღო 18.000 მანეთი. მან წინასწარ მისცა 10.000 მანეთი. ამის შემდეგ საყვარელიძე ეუბნება მას ბანკში დაირაგებული მაქვს ახალი პარტია საქონელი და უნდა გამოიხსნაო. ვინაიდან ასეთი რამ მათ შეთანხმებაში გათვალისწინებული არ იყო, მოწმემ უარი სთქვა სრულიად საქონლის გასაღებაზე. დაუბრუნა საყვარელიძეს საქონელი და 6.000 მანეთი.

მოწმე — ჭუმბურიძის ჩვენებას სრულიად არყოფს.

სასამართლომ დაუპირისპირა ერთი-მეორეს ჭუმბურიძე, პეველი და ხოჯამიროვი.

დაპირისპირებისას პეველომ განაცხადა, რომ ხოჯამიროვი დაკვეთას აწარმოებდა სიტყვიერად და დეპეშებით. ჭუმბურიძემ უარყო პეველის ჩვენება.

დაკითხულ იქნა აგრეთვე რამოდენიმე მოწმე, რომელთა ჩვენებას არავითარი ახალი გარემოება არ შეაქვს საქმეში.

შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ დილის 10 საათზე.

ფეხბურთი

ბათუმი-თბილისი

დღის ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ტრადიციული მატჩი საქართველოს პირველობაზე ბათუმის და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

გუნდების შემადგენლობაში, რომელიც მოყვანილი იყო ჩვენი გაზეთის პარასკევის ნომერში, მოხდა ზოგიერთი ცვლილებები.

ბათუმის შეჯიბრებში გამოდის შემდეგი შემადგენლობით: სოკრატ იაკიმიდი, ბიბილეი, დარჩია, გახპარიანი, პოდოსოვი, ფსაროსი, მიქაძე, ფაჩულია, აბაშიძე, ანდრია იაკიმიდი და გუნა.

თბილისის ნაკრებ გუნდში შედიან: პაპოვი („დურუჯი“), ფოჩხუა და ბლანკმანი („დინამო“), ფრუიძე („დურუჯი“), ჟორდანია და ანაკინი („დინამო“), ქოიავა („დინამო“), გუნია („დურუჯი“), გალპერინი („დინამო“), ვაჩნაძე („დურუჯი“) და ქებაძე („დურუჯი“).

მსაჯი იქნება ამხ. სამუშია. შეჯიბრი დაიწყება ნაშუადღევის 2 საათზე.

„პოლიტეხნიკუმი“—„არსრაიონი“

დღესვე „დინამო“-ს მოედანზე გაიმართება კალენდარული შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს“ და „არსრაიონს“ შორის. დასაწყისი დილის 10 საათზე.

„წ. ა. ფ. ს.“—„სინათლე“.

12 საათზე იქვე გაიმართება მეორე კალენდარული შეჯიბრი წითელი არმიის და ფლოტის ახალის გუნდსა („წ. ა. ფ. ს.“) და „სინათლე“-ს შორის. შეჯიბრი დაიწყება დღის 12 საათზე.

„პროგრეს“-ის მოწვევა

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო მოლაპარაკებას აწარმოებს ბაქოს გუნდ „პროგრეს“-თან მისი თბილისში მოსაწვევად.

„პროგრეს“-მა დაამარცხა საქართველოს ნაკრები გუნდი და ამიერ-კავკასიის პირველობა აიღო ფეხბურთში. შეჯიბრი გაიმართება 25 დეკემბერს.

ბიბლიოგრაფია

ი. ბოლქვაძე

მუშათა კლუბი

„შრომა“-ს გამოცემა. 1926 წ.

მუშათა კლუბების ორგანიზაციამ ჩვენში მასიური ხასიათი მიიღო. ამჟამად საქართველოს ქალაქებში არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი მუშათა უბანი, რომელსაც თავისი კლუბი არ ქონდეს. კლუბები მოწყობილი აქვს ყველა პროფორგანიზაციებს. უდავოა დებულება. რომ კლუბებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა ფართო მასების გათვითცნობიერებისათვის. როგორც სრული სისწორით აღნიშნავს ზემოხსენებული წიგნის ავტორი, ჩვენს სინამდვილეში—კავშირის კულტურულ განმანათლებელი მუშაობის ცენტრი—მუშათა კლუბია. იქ ინახება ახალი ყოფაცხოვრების, იქმნება ახალი კულტურის, კომუნისტური საზოგადოებრიობის საფუძვლები“. კლუბები აძლევენ მუშებსა და მათი ოჯახის წევრებს ფართო და ნათელ წარმოდგენებს კომპარტიისა და პროფკავშირების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ფართო მასები კლუბებში ეცნობიან არა მარტო პროლეტარულ მოძრაობისა და კომუნიზმის საფუძვლებს, არამედ იღებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებზე სწორ პასუხს. შემდეგ, რაც უმთავრესია, მუშები და მათი ოჯახები აქ ღებულობენ სასარგებლო დასვენებასა და გართობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში კლუბების მოწყობას ქონდა სტიქიური ხასიათი. კლუბების ორგანიზატორებს არ ჰქონდათ კლუბების ორგანიზაციული სტრუქტურის, კლუბების მასიური მუშაობის ამოცანების შეგნება. ამჟამადაც კლუბის პირდაპირი ხელმძღვანელთათვის იგრძნობა ზომიერებულ ამოცანებში. ასეთ პირობებში სახელმძღვანელოს გამოცემა კლუბის მუშაკთათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ისახავს ზემოხსენებული შრომა რომელიც შეიცავს დიდძალ დამუშავებულ მასალას კლუბების ორგანიზაციულ სტრუქტურის და მათი მასიური მუშაობის შესახებ. წიგნში ნათლად არის გარკვეული საკლუბო მუშაობის ამოცანები, ფორმები და მეთოდები, მასიური პროპაგანდის, საღამოების მოწყობის, კედლის გაზეთის, ექსკურსიის, საწრეო, საბიბლიოთეკო, მუშაობის, ფისკულტურის, სპორტის მოწყობის საკითხები და სხვა.

წიგნის უდიდესი ღირსება ის არის, რომ იგი წარმოადგენს მშრალი განყენებული კვლევა-ძიების ნაყოფს, არამედ აგებულია იმ გამოცდილებაზე, რომელიც თვის ხანმოკლე მუშაობის დროს მიუღიათ ჩვენს მუშათა კლუბებს.

წიგნი. რომელიც შეიცავს 230 გვერდს, გამშვენიერებულია სანიმუშო პლაკატებით და ლამაზი ყდით, გამოცემულია სუფთათ და უნაკლოთ.

გ.

ს. გოდაბრელიძე

„შრომის ხელფასი საბჭოთა შრომის კანონმდებლობით“.

„შრომა“-ს გამოცემა 1926 წ.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ზემოხსენებული წიგნი დიდი შემატებაა ქართულ პროფესიონალურ მოძრაობის ლიტერატურისათვის. ხელფასის საკითხი დღემდე არ ყოფილა ჯეროვნად გამორკვეული და გაშუქებული ქართულ ენაზე. მართალია, უკვე არსებობს „შრომის კოდექსის“ მიერ გამოცემული „შრომის კანონმდებლობის კრებული“, რომელშიაც თავმოყრილია კანონები ხელფასის შესახებ, მაგრამ ხშირად იქ კანონები მოყვანილია უკომენტაროდ [illegible] განმარტების გარეშე, ქრონოლოგიური წესით, რომელსაც გარკვევა შეუძლია მხოლოდ დახელოვნებულ იურისტს და ისიც ნაწილობრივ თუ ბევრად კანონმდებლობაში გარკვეულ პირს.

ს. გოდაბრელიძის ნაშრომში კი თავმოყრილია ხელფასის ყველა ის საკითხი, რომელიც გადაჭრილია საბჭოთა შრომის კანონმდებლობით და დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ავტორს გაურჩევია და დაუმუშავებია არ დაუტოვებია შრომის ხელფასის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. საკითხები ცოდნით და დიდი დაკვირვებით არის გარჩეული და გაშუქებული. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისი შრომა სახელს მხოლოდ პრაქტიკულ ამოცანებს, ე. ი. საკითხების ისეთ დამუშავებას, როგორც ის საჭიროა ყოველდღიურ მუშაობაში ჩაბმულ პროფმუშაკებისათვის. შრომის ძირითად თემას ერთ უძღვის შრომის ხელფასის, ცნებისა და ხელფასის ფორმების განმარტება, რომელიც საბჭოთა რეჟიმში წარმოადგენს ახლებურ მეთოდიურ ხელფასის ცნებაზე. ამ საკითხების გაშუქებაში [illegible] წიგნის ორი თავი. წიგნის დანარჩენ ნაწილში გარკვეულია შრომის ძირითადი თემა, რომელიც შეიცავს საკითხებს გაშუქებას შრომის ხელფასის რაოდენობის გამორკვევის. უმცირესი და უმაღლესი ხელფასის, სავალდებულო და სახელშეკრულებო განაკვეთის სანარდო, საშუალო ხელფასის და მისი გამოანგარიშების წესის შესახებ. შრომაში ვრცლად არის გამორკვეული და განმარტებული აგრეთვე ხელფასის მიცემის წესი, განაღდება, ხელფასიდან სხვადასხვა ანარიცხების გადახდის, სხვადასხვა დანამატების და ჯარიმის დაკავების, სხვადასხვა გამოჩენითი საკითხები, შემდეგ მივლინების დროს, სამუშაოს დროს დაქირავებული მუშის, სახელმწიფო ორგანოების მუშაკთა, სპეციალისტთა ხელფასი, ადმინისტრატიულ ტეხნიკური პერსონალის და მოზარდ მუშათა ხელფასი, პასუხისმგებელ მუშაკთა, შეთავსებით მომუშავეთა ხელფასის და დიდ-დიდ ხელფასი. საბაჟოში გამოვლინებით პრემიალური დაჯილდოებისა, შრომის ორის და თარიფის ხელფასის გამოანგარიშება. შემდეგ მოშვების დროს, ავადმყოფობის დროს, ხელფასის, განკარგულების დროს ხელფასი, ბინის ხარჯის, პასუხისმგებელთა შრომა, ხელფასი და ნომინალური და რეალური ხელფასი.

ავტორი არკვევს და აშუქებს ყველა იმ პრაქტიკულ საკითხებს რომლებიც უშუალოდ ხელფასთან არიან დაკავშირებული.

წიგნი დაწერილია მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით, გამოცემულია სუფთად და ღირს 1 მან. 50 კაპ.

ი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ბრძანება.

§ 1.

ყველა თანამდებობის პირები—სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადოებრივ პროფესიონალურ ორგანიზაციათა და წარმოებათა თანამშრომლები და, აგრეთვე ყველა დანარჩენი მოქალაქენი ვალდებული არიან 1927 წლის 1-ლ იანვრიდან ერთი თვის განმავლობაში გამოცვალონ თავიანთი მოწმობები იარაღის ტარებისა და შენახვის ნებართვის შესახებ და რეგისტრაციაში გაატარონ ახლად შეძენილი იარაღები.

§ 2.

იმ პირთა მიმართ, რომელნიც ამ ბრძანებას არ შეასრულებენ, რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ მიღებული იქნება ზომები იარაღის დამალვისათვის.

საქ. სახელმწიფო პოლიტ. კორ სამმართველოს უფროსი—ბერია.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება

კითხვა

ჩვენ, სოფელ საგარეჯოში (თბილისის მაზრა) მცხოვრ. ძმებს ჯაბადრებს, (რომლებიც უკვე ოცი წელია, რაც გაყრილები ვართ) გვქვეს ხსენებულ სოფელში ერთ ადგილას (სამივე ძმებს) სახნავი მიწები. სათიბი მიწები კი 1924 წელს საგარეჯოს აღმასკომმა ჩამოგვართვა ნაწილობრივ და დაგვიტოვა მხოლოდ 12 დესეტინა (სამივე ძმას). ჩვენ ძმას დავითს ყავს ოჯახის 7 წევრი. ამ შვიდ წევრში ერთი ვაჟი ცოლიანია. მეორე ძმას, ყავს ხუთი სული. აქაც ერთი ცოლიანი, მესამე ძმასაც ხუთი სარჩენი სულია.

1926 წელს მოახდინეს სახნავი მიწების დაყოფა. ჩვენ სამივე ძმას გვქონდა სახნავი მიწები სულ ერთ ადგილას ექვსი დესეტინამდე. ეს ჩვენი მიწები დაიყვეს შემდეგმა პირებმა: სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ აიღო თავისთვის და თავის ორი ძმისათვის. იმათაც, ვინც მიწის მზომელს დასდევენ და მათმა ძმებმა მთელი ჩვენი მიწები მიიღეს. ჩვენ კი დაგვტოვეს უმიწოდ. ჩვენ განვუცხადეთ მიწის მზომელს და მიწისკომისიას, რომ ჩვენი მიწა ნორმაზე ნაკლებია. თუ იგი მეტია ნორმაზე, მაშინ მოგვიზომონ, რაც გვერგება ჩვენი და ჩვენი მამა-პაპისაგან ნაშრომი და გაპოხიერებული მიწიდან და რაც მეტია ჩამოგვართვითქო. მაგრამ არ შეიწყნარა არც მიწის მზომელმა და არც მიწის კომისიამ ჩვენი ხვეწნა-მუდარა და უმიწოდ დაგვტოვეს. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ სხვაგან (გადაკარგულ ადგილას) მოგიზომავთ მიწაო.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება და თუ არაა კანონიერი, ვის მივმართოთ. რომ აღადგინონ ჩვენი დარღვეული უფლებები.

დავით, ლევან და სიმონ ჯაბადრები.

პასუხი

მიწის სარგებლობის უფლება სოფლის მეურნეობის საწარმოებლად აქვს საქ. სოც. საბ. რესპ. ყველა მოქალაქეს (ამ შემთხვევაში თქვენც), ვინც კი მოისურვებს მიწის საკუთარი შრომით დამუშავებას. მაშასადამე თუ კი მიწა იმყოფებოდა თქვენ სარგებლობაში; თქვენ მას ამუშავებდით საკუთარ შრომით და მიწის რაოდენობა არ აღემატებოდა მიწის კოდექსის მუხ. 60 66-ით გათვალისწინებულ ნორმას და მასთან თქვენ ცხოვრობთ ადგილობრივად, მაშინ თქვენთვის მიწა არ უნდა ჩამოერთმიათ. თუ კი, მიუხედავად ყველა ამ გარემოებათა, თქვენ მაინც ჩამოგერთვათ მიწა, მაშინ მიწის მზომელის და მიწკომის მოქმედება უნდა ჩაითვალოს უკანონოდ და თქვენ, თქვენი (როგორც მიწის კანონიერი მოსარგებლეთა) დარღვეული უფლებების აღდგენა უნდა მოითხოვოთ სათანადო სამაზრო მიწკომისაგან სამეცნიერო სამმართველო კოლეგიის სამუშაოებთან—(იხ. მიწ. კოდექ. მუხ. 24), რომელსაც უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით.

ვარ ფიზიკური მუშა. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მიწის ნორმა?

კითხვა

მე ვარ დაბადებული სოფელ საგარეჯოში (თბილისის მაზრა) თბილისში ვარ ფიზიკური მუშა,—ვმუშაობ აღმასკომის პირველ სტამბაში ასოთ-ამწყობად და სარჩენი მყავს ჩემ ხარჯზე ორი სული. მე მსურს მივიღო ჩემივე სოფელში მამა-პაპური მიწებიდან მიწის სათანადო ნორმა.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მაქვს თუ არა ამის მოთხოვნის უფლება და თუ მაქვს, ან რამდენი მეკუთვნის და ან რა საშუალებით შემიძლია მოვითხოვო ასეთი.

სტამბის მუშა გიორგი ჯაბადარი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 67-ისა, თქვენ დაგიტოვებათ მიწის მხოლოდ ნახევარი ნორმა. მიწის მისაღებად კი თქვენ უნდა მიმართოთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სათანადო ორგანოს. (იხ. იმავე კოდექ. მუხ. 9).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ტერ-გოკასოვის ქუჩაზე, სახლი № 28-ში ჩვენი ოჯახი შესდგება 5 სულისაგან: მე, დედა ჩემი, რომელიც იმყოფება ჩემ კმაყოფაზე, ერი და და ჩემი დისწული (მოსწავლე). გვეპირავს ბინა (ნახევრად სარდაფში) სივრცით 13 კვად. მეტრი. ვმსახურობთ მე და ჩემი და. ჩემი თვიური ჯამაგირი უდრის—47 მან., ხოლო ჩემი დის ჯამაგირი—70 მან.

გთხოვთ გვიპასუხოთ ვისი ჯამაგირის მიხედვით და რამდენი უნდა ვიხადოთ ბინის ქირა.

ბარბარე არონიშვილი.

პასუხი

თანახმად მომქმედი ახალი საბინაო ტარიფის მუხ. 21-ისა, ბინის ქირის რაოდენობა იმ ოთახისა ან ოთახების იმ ჯგუფისათვის, რაც ერთ ოჯახს (ამ შემთხვევაში თქვენ ოჯახს) უჭირავს, დაწესდება ოჯახის იმ წევრის (ამ შემთხვევაში თქვენი დის) ხელფასის მიხედვით, რომელიც დაიბეგრება ბინის ქირის უმაღლესი განაკვეთით. ამას გარდა, ნახევრად სარდაფის სადგომისათვის, რომლის იატაკი ნახევარ მეტრზე უფრო დაბლაა, ვიდრე მიწის დონე, ისეთი თანახმად. რომელიც მოკლებულია გარედან ხილვითის მდგმური გადაიხდის დაწესებულ ტარიფზე ორმოცდაათი პროცენ. ნაკლებ ქირას. თუ კი თქვენი სადგომის იატაკი ნახევარ მეტრზე ნაკლებ დაბლაა მიწის დონეზე, მაშინ თქვენ გადაიხდით ნორმალურ ტარიფზე 25 პროცენტზე ნაკლებ ქირას. ნორმალური ქირა კი თქვენი დის ხელფასის—70 მანეთის მიხედვით გამოიანგარიშება და უდრის საცხოვრებელ (სასარგებლო) მოედნის თითოეულ მეტრზე 30 კაპ.

უთუოდ გადამოწმების ახაცილებლად გირჩევთ სწორად გაზომოთ თქვენი სადგომის იატაკის მდებარეობა მიწის დონესთან შეფარდებით და ამის და მიხედვით ნორმალური ქირას ყოველ მეტრზე (20 კაპეიკს) დააკლოთ ორი მეოთხედი ან და ერთი მეოთხედი თანახმად იმავე ტარიფის მუხ. 17-ისა. (იხ. თბილისის ქალ. საბჭოს „მოამბე“ № 10—11 1926 წ. ოქტომ-ნოემბერი გვ. 114).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ მე-9-ე რაიკონფერენციისათვის მანდატების დაცემის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია ა. წ. 20 დეკემბერი.

მანდატების მიღებისათვის აუცილებელია სადელეგატო არჩევნების ოქმების და სადელეგატო ანკეტების წარდგენა.

— ს. კ. პ. (ბ) ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტების საყურადღებოთ. გამოვიდა ქართულ ენაზე გადამუშავებული ტაიშონის და კოზლოვის „პოლიტსკოლა“ სოფლის მოძრავ და სტაციონარულ პოლიტსკოლების სკოლებისათვის. სამაზრო და საოლქო კომიტეტებში ამ წიგნის შესაძენად უნდა მიმართონ დამოუკიდებლად საქ. სახელგამს, რისთვისაც საჭირო იქნება ღირებულება თანხის გამოგზავნა ან უნდა გამოწერილ იქნას ფასდადებით. პოლიტგანათლების მთავარი მმართველობის ხაზით გახსნილი მოძრავ - პოლიტსკოლების ის წიგნები დაეგზავნება პოლიტგანათლების მთავარ სამმართველობის მიერ.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპი.

ვინ არის წინააღმდეგი?

ქართ. მხრ. სამხ. სკოლის № 1 უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) სანაკოევ ალექსანდრე, 2) მეზურადე ალექსი. 3) ჯალაღანია მიხეილ, 4) ციცქილია ვარლამ, 5) შიშინაშვილი ქრისტეფ., 6) ყაჭეიშვილი დალაქტიონ, 7) შიოხოძე ეგნატე, 8) მოდებაძე გრიგოლი, 9) ნადარაძე ლევან, 10) ჩაჩანაშვილი მიხეილ, 11) ხარებავა პავლე, 12) რეხვიაშვილი გერასიმე, ვინმეს თუ ვისმეს გაქვთ რამე საწინააღმდეგო ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების მიმართ — გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

— ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპში ორშაბათს 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე შესდგება ცენტრალურ სასტენდიო კომისიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის: კანდელაკი, საყვარელიძე, ბუდაღიევი, თელიკავი, მემშვარიაშვილი, ზაზაროვი, მდივანი, დუდუჩავა და მხითაროვი.

— 21 დეკემბერს, დღის 12 საათზე შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. ცკავშ საკომფილქტო კომისიის მორიგი სხდომა. დასწრება ყველა კომისიის წევრებისა სავალდებულოა. წინადადება ეძლევა ქვემოთ ჩამოთვლილ ამხ-ებს გამოცხადდნენ დაუყოვნებლად ნიკოლოზ ხოფერიას, ვალერიან გოგლიჩიძეს, დავით ფალავას, ვახტანგ აზრუმანის, გრიგოლ დევიძეს, ფანჯავიძეს (რაჭიდან), გ. დარიშელს (მუზფაკელი) კარლო ბერეჟინცს (ხაშური) ზაქრო ზაუტაშვილს და ალექსანდრე ნიჟუკაძის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან:

გერასიმაშვილი იაკობ, ბაქრაძე ანდრია, პროკოფიევი ალექსანდრე, ფიჩხაძე ვასილი, ზალდასტანიანი არმენაკ, რუკუჯავა ისაკ, ნაჭყებია აპოლონ, პეტროვი პეტრე, ცხადაძე ვასილი, წოწრიძე პლატონ, კაკალაშვილი შამანტი, კობერიძე ესტატე, გადახაძე ეგნატე, გეორგიაშვილი რომანოზი, ბახტაძე სერგო, ბერიძე ვასილი, კობალაძე დავით, ასრიევი სერგო.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე გრიგოლ სიოძე კობიძე პაწაწინა შვილები მარლენ და გივით მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი ცოლის

მარგარიტას (მარგოს)

უდროოდ დაკარგვას—გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან პლეხანოვის გამზირი № 172 კვირას 19 დეკემბერს დღის 12 საათზე.

3—1 960

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ხინა ივანეს ასული შვილებით აბრაძე, მარიამი, ვახტანგი და შოთათი, და ნინო აბრამის ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 15 დეკემბერს, დღის 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის მუდამ სახსოვარი, საყვარელი ტკბილი. პირველისა მეუღლე, მეორესი მამა, მესამესი ძმა, უკანასკნელებისა ბიძა

ლადო აბრამის-ძე ხვთისიაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ალექსანდროვის ქუჩა № 11. გამოსვენება 19 დეკემბერს, დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ეკლესიაში. (ჩუღურეთში). დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

945 4—1

გრიგოლ (გრიშა) ხმალაძე, სიმონ და ქსენია ჯუღელი და ქ. გოგიაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს პირველის ძვირფას დედის—მეგობრის, მეორეების დის და მესამეს დეიდის

ელენე სპირიდონის ასულის ჯუღელი-ხმალაძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 18 დეკემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება მოხდება საშაბათს, 21 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან.

დ. 1-1

გიორგი მარკოზის-ძე მგალობლიშვილი თავის მეუღლე სალომე პაატას ასული, შვილებით აკაკი, ოლღა, საშა, ნინა, ნადია, რძლით გოგუცა, სიძეებით კოტე ქუთათელაძე, ბიკენტი კანდელაკი, დავით ბოკერია, ნიკოლოზ მჭედლიშვილი და შვილიშვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, გარდაცვალებას ძვირფასი ძმის და ბიძის

გრიგოლ მარკოზის-ძე მგალობლიშვილის

ცხედრის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 19 დეკემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე წმინდა ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე.

974

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მაკრინე ზურაბის ასული მგალობლიშვილი, ქალიშვილი მარიამი, სიძე ნიკო და შვილიშვილი თინიკო შვილები, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 15 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 ს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გრიგოლ მარკოზის-ძე მგალობლიშვილი

ცხედრის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 1 საათზე წმინდა ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე.

978

ღრმად და წუხრებულნი: ქვრივი ლუკა ანტონის-ძე ხელაშვილი, ოლია ივანეს ასული ხელაშვილისა, ნინა ლუკას ასული ხელაშვილი, დათა ანტონის-ძე ხელაშვილი, კეკა ხელაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ქმარი, ამხანაგი, სიძე და ბიძა

ლადო აბრამის-ძე ხვთისიაშვილი

გამოსვენება კვირას, 19 დეკემბერს დილის 10 საათზე, ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2—2 946

ღრმად დამწუხრებულნი ძმობილები: დედა არო ლევანის ასული, მამა დავით რევაზის-ძე, და ნადია, ძმები ვასო და აკაკი, დეიდები თეო ლევანის ასული კოსტავასი შვილებით: ქსენია, ვერა, თამარა და გრიშა; კატო ლევანის ასული გაბელაშვილისა ქმრით მათთით, ალექსანდრა ლევანის ასული შავგულიძე და ბიძა დავით ლევანის-ძე შავგულიძე შვილებით: ზოია, დარეჯანი და რეზო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და უსაყვარლესი

ფატი (ელენე) დავითის ასული მამარიაშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში კვირას, 19 დეკემბერს, დღის 3 საათზე. დასაფლავება საფირჩხიის სასაფლაოზე. სატოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე საბჭოთა ქუჩა № 65.

976

გულდამწვარნი: დედა ელისაბედი, ცოლი თებრონე [illegible] შვილები ილია, თამარ და შალვა, ძმები: ბიქტორ და [illegible] ივლიტე, ოლია და გუჯარა, ძმიშვილები ნინო კანდელაკისა, ელენე ჩიქოვანისა, ოლია, ქეთო, ტასო და შალვა მაცაბერიძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და ყოველ წუთში ძოსაგონარი პირველის შვილი, მეორესი ქმარი, მესამესი ძმა, შემდეგის მამა და უკანასკნელის ბიძა

გიორგი დავითის-ძე მაცაბერიძე

დასაფლავება კვირას, 19 დეკემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ნაშუადღევის 2 საათზე, ტ ხნ. ქუჩა № 4.

ნ. 369 1—1

გულდამწვარი დის შვილები: მიშა, დათიკო, მათიკო, მაშურა და ნუცა ივანეს ძენი და ასულნი ქვარიანები, რძლები ეკატერინა ალექსანდრეს ასული და ლენა ალექსანდრეს ასული ქვარიანებისა, სიძე კოლია ჰელიძე აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავთ, რომ 16 დეკემბ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათვის უსაყვარლესი ბიძა

გიორგი დავითის ძე მაცაბერიძე

დაკრძალვა ახალ ვერის სასაფლაოზე კვირას 19 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ტეხნიკურს ქ. № 4.

ქ. 984

„კომუნისტი“

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის

გაზეთი ღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—90	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30	7 „	8—80
2 „	2—60	8 „	10—00
3 „	3—80	9 „	11—30
4 „	5—00	10 „	12—60
5 „	6—25	11 „	13—80
6 „	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 მან. დოლ.	6 თვით	8 „
3 „	4 „	1 წლით	16 „

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ქიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შ. რაჭის მაზრისთვის.
3. ქუთაისში—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეკოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედიაში—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკში—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშაში—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთში—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, ხვარი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდ ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივნოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისათვის.
17. ვილისციხის და ბუჯულის რაიონში—განყ. გამგე შ. შინიაშვილი [illegible]
18. ოჩამჩირი—გ. სოხელიას განყოფ. გამგე
19. საღ. ბორჯომში—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
20. ბორჯომ-პარკი—იაშა ტერ-ეროვთან
21. ცხინვალი—გახილი ფალენიშვილთან.

და ფოსტატელეგრაფის ყველა კანტორებში

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიაში:

ქ. რაჭველიშვილი

საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია

შინაარსი: შესავალი. ფეოდალიზმის წარმოშობა. ფეოდალური მონარქია. ფეოდალური მონარქიის დარღვევა და მისი აღდგენისათვის ბრძოლა. ფეოდალიზმის ლიკვიდაცია

3—1 ნ. 361 ფასი 1 მან. 80 კაპ.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ ჟურნალზე

„სოფლის კომუნისტი“

ორგანო ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით	2 მან.
ექვსი თვით	1 მან.
სამი თვით	50 კაპ.

ცალკე ნომერი 20 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის, 22 კომპარტიის ცეკა ოთახი № 17

15—1 ნ. 355

ს. მ. უ. ს. ცენტრალური [illegible]

ლაბორატორია

პირველი იანვრიდან 1927 წ. გაიხსნება

ს. მ. უ. ს. ცენტრალური

ქიმიურ-ტექნიკური ლაბორატორია

ლაბორატორიაში არის განყოფილებანი—ანალიტიური, ტექნიკური და პრეპარატიული

ლაბორატორია ღებულობს ყოველგვარ ანალიზებს, იძლევა დასკვნას ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსების შესახებ, არკვევს მინერალურ და მცენარეულ ნედლი მასალების გადამუშავების ეკონომიურ საშუალებებს, ადგენს ახალ ქიმიურ წარმოებათა გეგმებს.

ლაბორატორია ღებულობს შეკვეთებს სახელმწიფო დაწესებულებათაგან და კერძო პირებისაგან.

ნ. 347 6—1. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 17.

ორშაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება სრულიად საქართველოს

მწერალთა კავშირის საბჭოს პლენუმი

საბჭოს წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია

სრ. საქ. მწერალთა კავშირის

ნ. 370 მდივანი ჟ. ლოლობერიძე

ვინაიდან მოსავალ ზამთარში მოსალოდნელია ყინვები, წყალსადენის ყველა აბონენტებს

(სახლის პატრონებს) მოვაგონებთ, რომ, თანახმად არსებული წესისა, მათ ევალებათ წყალსაზომების ყინვებისაგან დაცვას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა:

1. შეაკეთონ წყალსაზომების ქვის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.
2. საზომები შეახვიონ გვერდებიდან ერთიანი ნაჭრის მაუდით ან რაიმე თბილეულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დააფარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების აღების დროს შეიძლებოდეს ისი ახდა.
3. საზომის გარშემო ქვაში ჩაყარონ ნახერხი.
4. ღამ-ღამობით, დიდი ყინვის დროს, საზომის წინ დაკეტოს ბოჯი და დაიხარჯი ბოჯის საშუალებით მტოდან გამოუშვას წყალი.

ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღოს რჩევა-დარიგება წყალსადენის ტექნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკონტროლიორებისაგან რაიონში ჩამოსვლის დროს.

წყალსადენი ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები გაიბზარებიან, აბონენტ-სახლის პატრონებს გადახდებათ საზომის სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ არავითარი რაიმე დავა სრულიად არ იქნება გარჩეული.

ნ. 363 3—1. წყალსადენის დირექცია.

სახელმწიფო დრამა — კვირას, 19 დეკემბერს ანტონოვის

მზის დაბნელება საქართველოში

კომედია 3 მოქმ. დადგმა: კოტე მარჯანიშვილისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—1 ნ. 353

სახელმწიფო ოპერა — დღეს, 19 დეკემბერს აბონემენტის გარეშე. **მაზეპა**

მონაწილეობენ: ხპრიშევსკაია, ხკიბიცკაია, კანცბურგი, გორელოვი, მესნიკევი, ფასკოვსკი, დემიანენკო.

დირიჟორობს დამს. არტისტი ს. სტოლერმანი.

ხანშაბათს, 21 დეკ. **ურიის ქალი**

ნ. 366

ცირკი ძმ. ტანტების — კვირას, 19 დეკემბერს გრა დიოზული

გაიხსნა ექსცენტრიული ცირკის

ს.ს.ს. რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების გამგებლობით და მონაწილეობით

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. დაწვრილებით აფიშებში

ხელმძღვანელი ადმინისტრატორი მ. ი. ტადე

3—1 ნ. 362

აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი (ყოფ. გლობუსი)

პირველად ეკრანზე „სიყვარულის სიმღერა“ კოვანკოს და მალტოს მონაწილეობით. სოლო ვიოლონჩელზე—მ ალ უ ნ ც ე ვ ი.

სხლევრული საუკეთესო სურათი „უკანასკნელი განცდა“ მილტონ სილსის მონაწილეობით.

პირველად თბილისში „ჰო ან არა“ ლუიზა ვილსონის მონაწილეობით.

„მკვლელის დალი“ უკანასკნელი 3—4 სერიის ერთად

ანონსი: ორშაბათიდან, 20 დეკ. „ლაზურ საფლავი“

0—14 ნ. 287

სახ. განმ. კომ. სახელმწიფო

საზუსტრო კურსები

ი. ავალიშვილის ხელმძღვანელობით

აცხადებს, რომ 1 იანვრიდან

იხსნება ახალი ჯგუფი

დავიდოვის ქ. № 25. საღამოს 5 საათ. 3—1 ქვ. 961

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20

25—21

1927 წ. პირველ იანვრიდან იწყებს გამოსვლას განათ. სახკომისარიატის ხელოვნების განყოფ.

ორკვირეული ჟურნალი

საბჭოთა ხელოვნება

კინო: თეატრი: მხატვრობა: მუსიკა: კრიტიკა: ბიბლიოგრაფია:

პ. მ. რედაქტორი შ. დუდუჩავა.

ჟურნალში თანამშრომლობენ ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ძალები. ჟურნალს ჰყავს საკუთარი თანამშრომლები მთელ საბჭოთა კავშირსა და და უცხოეთში

თითო ნომერი—32—48 გვ., ფასი 35 კაპ.

რედაქციის დროებითი მისამართი: ქ. თბილისი სახელმწიფო საოპერო თეატრი, ხელოვნების განყოფილება, რედ. „საბჭოთა ხელოვნება“.

5—1 ნ. 368

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6 7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25 1

ქვ. 788

დაკარგა შეუსებელი თამასუქი მხოლოდ დასმული ჯამით 392 მან. და 25 კაპ., ხელმოწერილი ტელეფონე პეტრეს ძე სახაროვისძის მიერ, ჩ. გ. 980

დაკარგა საბინაო დავთარი ლევან ქუმაშვილის სახლისა ფოთის ქუჩაზე № 19, ჩ. გ. 975

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 98448 ნინა ბარნაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 981

დაკარგა პირადობის მოწმობა № 489, გიორგი მექ.ნარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 979

დაკარგა საწევრო საარიცხვო ბარათი რუზენა ზაქარის-ძე აკოფოვის სახელზე, ჩ. გ. 977

დაკარგა პირადობის მოწმობა და [illegible] 987

დაკარგა [illegible]

დაკარგა [illegible]

კინო აპოლო არფასტო — ორშაბათიდან 20 დეკემბრიდან ყოველ დღიურად — **თეატრებში:** სოლეი დარბაზი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

„ლაზურ საფლავი“

[illegible]

6. 372

თბილისის ქალაქის ბანკის ბალანსი

	1 ოქტომბრის	1 ნოემბრის	1 დეკემბრის
სალარო და სახ. ანგ.	932.822—06	386.928—49	470.362—80
საფასენი.	125.404—19	268.155—40	281.014—11
თამას. განაღ. და სპეც. სახ. ანგ. თამას.	2.839.879—51	2.825.243—77	2.987.772—19
საქონლის სესხის ოპერაცია.	1.816.032—52	1.928.640—05	2.024.355—56
მიზნობრივი სესხი მოკლე ვად.	1.108.531—61	1.103.839—71	1.031.2[illegible]5—79
„ „ გრძელვადიანი	2.931.417—42	2.927.518—76	2.948.135—17
კორესპონდენტები	346.709—79	1.294.975—11	154.482—56
შემოსასწორებელი ანგარ.	566 059—97	316.943—61	407.468—16
სხვადასხვა დებიტორები	9.780—51	15.694—02	13.464—07
ქონება და წამოწყ. მონაწ.	708.521—98	715.242—22	726.268—28
საურთიერთო ანგარიშები	1.651.849—24	1.553.835—39	1.872.528—87
გაპროტესტებ. თამას. და საეჭვო ვალებ.	168—	8.846—87	20.293—13
გაცემ. %%-ბი კომის. და სხვ.		2.[illegible]60—60	6.985—82
მიმდინარ. ხარჯ. მომავ. წლის	3 825—35	—	—
მიმდინარე და სხვა ხარჯ.	11.482—28	49.579—47	94.951—33
	13.052.484—63	13.398.103—47	13.039.837—84

	1 ოქტომბრის	1 ნოემბრის	1 დეკემბრის
თანხები ა) ძირითადი	2.000.000—	2.000.000—	2.000.000—
„ ბ) სათადარიგო	126.783—19	126.783—19	126.783—19
სპეც. თანხ. მთ. საგან. დანიშ.	835.240—	835.240—	835.240—
სპეც. თანხ. მთ. საგან. დანიშ. საალმშ.	454.219—58	491.2[illegible]9—58	620.219—58
სპეც. სახ. ანგ. უზრ. თამას.	1.224.759—02	1.434.051—11	1.348.253—99
ანაბარი და სახ ლ. ანგ.	3.928.022—19	3.205 669—43	3.087 099—10
ფულის ბარათები	81.549—60	37.9[illegible]9—95	265.449—03
კორესპონდენტები	1.850.840—58	2.734.110—28	1 7[illegible]7.187—84
შემო წორ. ანგარ.	376 847—35	316.746 64	432.929—81
სხვადასხვა კრედიტები	23.[illegible]05—	22 850—	22.740—
საურთიერ. ანგარიშ.	1.651 849—24	1.653.274—52	1.956.800—03
შე ოს. მომავ წლის ანგ.	110 312—32	189—80	251—55
სარგებ. კომის. და სხვ. შემს.	—	151 502—41	228.327—15
მოგება და ზარალი	388.556—56	388 556—56	388.556—56
	13.052.484—63	13.398.103—47	13.039.837—84

ნ. 373

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.